

რობერტო ზუკო

ბერნარ-მარი კოლტესი

(თარგმანი - ნინო გოგიჩაიშვილი)

## წინათქმა

ბერნარ-მარი კოლტესი XX საუკუნის 80-იანი წლების უმნიშვნელოვანესი ფიგურაა ფრანგულ თეატრალურ სამყაროში, თუმცა მან აღიარება თავისი ხანმოკლე სიცოცხლის ბოლო წლებში ჰპოვა. მისი თეატრი კავშირის წყვეტაა წინა თაობის ავანგარდისტულ თეატრთან, ბეკეტისა და იონესკოს მემკვიდრეობასთან, რომელიც უარს ამბობს ფიქციაზე. კოლტესის პიესები კი პერსონაჟებსა და ამბავზე გვიყვებიან, რომლებსაც კონკრეტული სოციალური, ოჯახური თუ წარსულის კუთვნილება გააჩნიათ, ამით დრამატურგი ერთგვარად კლასიკური თეატრის „სამი ერთიანობის პრინციპსაც“ კი უახლოვდება. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ მისი დრამატული სიტუაციების „რეალურობის“ ფიქსაცია მხოლოდ ერთგვარი საწყისი წერტილია მეტაფიზიკური აზროვნებისა ადამიანების ურთიერთობებზე, რომელიც სრულიად ახლებური სტილით წარმოაჩინა მან და რომელსაც ანალოგი არ გააჩნია.

კოლტესისეული დრამატურგია ერთდროულად პოეტური, მეტაფორული და პოლიტიკურია. მისი პიესები თემატური მრავალფეროვნებითაც გამოირჩევა; მათ შორის, ის ეხება ისეთ დიდ თემებს, როგორიცაა: მარტოდ დარჩენილი ადამიანი, სიკვდილის ტრაგედია; საუბრობს რასიზმზე, ჰომოსექსუალიზმზე, ოჯახურ ძალადობაზე. ამასთან, კოლტესის დრამატურგია მთლიანად მეტაფორულ წერის მანერაზეა აგებული, ჟან კრისტოფ სე მასზე ამბობდა: *« Sallinger » ამერიკაზე ნაკლებ საუბრობს, ვიდრე ოჯახზე, „დასავლეთის სანაპირო“ მხოლოდ სიკვდილზე საუბრობს. კოლტესი კლასიკოსია, რომელიც ხელახლა ბადებს სამყაროს უდიდეს თემებს. ის ჩვენი თაობის მითოლოგიას იგონებს*.

კონსერვატულ ოჯახში დაბადებული კოლტესი, პირველად 20 წლის ასაკში ესწრება „მედეას“ მარია კაზარესის შესრულებით და სწორედ ეს წარმოდგენა აღმოჩნდება მისი დაინტერესების მთავარი წყარო თეატრალურ სამყაროსთან. მისი ფართო პუბლიკისთვის გაცნობა, 1980 წელს, პატრის შეროსთან

შემოქმედებითი კვების შემდეგ მოხდა, ეს უკანასკნელი უკვე დიდი პოპულარობით სარგებლობდა ამ დროისთვის. მათ ერთად დადგეს რამდენიმე პიესა, რომელთა მიზანსცენამ უდიდესი აღიარება მოუტანა კოლტესს.

მისი მოგზაურობები აფრიკასა და სამხრეთ ამერიკაში კვებავდა მის შემოქმედებით უნარს, ის ცდილობდა ახალი სიტყვა ეთქვა თანამედროვე ფრანგულ თეატრში. ის ერთ-ერთი იმ იშვიათი ავტორთაგანია, რომელიც შავკანიანი და მაგრებელი მსახიობებისთვის წერდა როლებს.

კოლტესი ამბავს იგონებს „ფანტასტიკურ მოთხრობასა და მითს შორის“ , მისი დრამატურგიული „ამბიციის“ ფორმულირება მისივე სიტყვებითვე შეიძლება: “მე მხოლოდ სურვილი მაქვს კარგად გადმოვცე ამბავი, ყველაზე უფრო მარტივი სიტყვებით, ყველაზე უფრო მნიშვნელოვან რამეზე, რაც კი მსმენია და რომელიც შეიძლება რომ გადმოიცეს; იქნება ეს სურვილი, ემოცია, ადგილი, განათება თუ ხმაური, ნებისმიერი რამ, რაც სამყაროს მეორე ბოლოში ხდება და რომელიც ჩვენ, ყველას გვხვება“.

„რობერტო ზუკო“ მისი ბოლო პიესაა, რომელიც მისი გარდაცვალებიდან ერთ წელში გამოქვეყნდა, ეს კოლტესის ყველაზე ენიგმატური პიესაა, რომელსაც სათავედ დაედო ნამდვილი ამბავი იტალიელი რობერტო სუკოსი, რომელმაც თოთხმეტი წლის ასაკში მოკლა მშობლები, ყოველგვარი მიზეზის გარეშე, ის ფსიქიატრიულ ჰოსპიტალში გააგზავნეს, თუმცა საოცარი ნიჭიერების წყალობით, მოახერხა რომ იქიდან გამოწერეს, 24 წლის ასაკში მან ხელახლა გადაუხვია გზას და მოკლა პოლიციელი, რის შემდეგაც მრავალი თვე გაქცევაში იმყოფებოდა, ამ ხნის მანძილზე იყო აყვანილი მძევლები, მკვლევლობები, ბუნებაში გაუჩინარებები, ისე რომ არავინ იცოდა ვინ იყო ის ზუსტად. კოლტესი „მოხიბლა“ ამ ამბავმა, სუკოს შესახებ პირველად მეტროსადგურში გაკრული ფოტოთი შეიტყო, რომელმაც, როგორც თავად ამბობს, „არ იცის რატომ მოხიბლა“, ის მოხიბლა მისი ფოტოზე გამოსახული სახით, რომელსაც დიდხანს უყურებდა. გარკვეული ხნის შემდეგ ტელევიზორში წააწყდა სცენას, მაშინ როცა არასდროს უყურებდა ტელევიზორს, როგორც თავად ამბობს „L'événement“\_ისთვის მიცემულ ინტერვიუში; სწორედ იმ სცენას უჩვენებდნენ, სადაც სუკო ციხის სახურავზე

იმყოფებოდა. ამის შემდეგ მან „Libération“-ის სტატიებში დაიწყო ძიება ამ ამბის დეტალებისა და აქედან დაიწყო მისი პიესაზე მუშაობაც. პიესის დასათაურებისას კი მკვლელის გვარის პირველი ასო შეცვალა. სუკო, სახურაზე გამართული სანახაობის მერე ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გამოკეტეს, სადაც თავი მოიკლა, სწორედ იგივე სტილით, როგორც მამამისი მოკლა; მან თავზე პოლიეთილენის პარკი ჩამოიცვა და ასფიქსიით გარდაიცვალა. კოლტესისთვის მისი გზა შთამაგონებელია აღმოჩნდა, „Le Monde“-ისთვის მიცემულ ინტერვიუში ამბობს : „მითიური პერსონაჟი, სამსონი ან გოლიათი, საოცარი ძალღონის, საბოლოოდ კენჭმა თუ ქალმა იმსხვერპლა“.

კოლტესი 1989 წელს, ორმოცი წლის ასაკში, შიდსით გარდაიცვალა, „რობერტო ზუკოს“ შექმნიდან ერთ წელში. დღესდღეობით, მისი პიესები მსოფლიოს ოცდაათამდე ენაზეა თარგმნილი და აქტიურად იდგმება მთელი მსოფლიოს მასშტაბით .

„მეორე ლოცვის შემდეგ შეამჩნევ, რომ მზის დისკო გამოისახება და დაინახავ მასზე დაშვებულ ფალოსს, ქარის საწყისს, და თუ სახეს აღმოსავლეთისკენ მიაბრუნებ, იქ დაგხვდება, თუ დასავლეთით - უკან დაგედევნება.“

(მიტრას ლიტურგია, პარიზის დიდი მაგიური პაპირუსის ნაწილი.  
ციტირებული კარლ იუნგის მიერ B.B.C.\_თვის მიცემულ ბოლო ინტერვიუში).

ეს პიესა 1988 წლის შემოდგომაზე დასრულებული, პირველად დაიდგა ბერლინში 1990 წლის აპრილში.

## პერსონაჟები :

რობერტო ზუკო

დედამისი

ქარაფშუტა გოგო

მისი და

მისი ძმა

მამამისი

დედამისი

მოხუცი ბატონი

ელეგანტური ქალბატონი

ზორბა მამაკაცი

მოუთმენელი სუტენიორი

განჩხლებული მეძავი

მელანქოლიური ინსპექტორი

ინსპექტორი

კომისარი

პირველი დარაჯი

მეორე დარაჯი

პირველი პოლიციელი

მეორე პოლიციელი

კაცები. ქალები. მეძავები. სუტენიორები. პატიმრებისა და დარაჯების ხმა.

## I. გაქცევა.

*ციხის საფეხმავლო ბილიკი, სახურავის კიდეზე.*

*ციხის სახურავი - წვერამდე.*

*იმ დროს, როდესაც სიჩუმეში, უკუნეთსმიშტერებული დაღლილი დარაჯები, ზოგჯერ ჰალუცინაციის მსხვეპლნი არიან.*

პირველი დარაჯი — გაიგონე რამე?

მეორე დარაჯი — არა, საერთოდ არაფერი.

პირველი დარაჯი — შენ ხომ არასდროს არაფერი გესმის.

მეორე დარაჯი — შენ გაიგე რამე?

პირველი დარაჯი — არა, მაგრამ ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს რამე გამეგონოს.

მეორე დარაჯი — გაიგე რამე თუ არ გაიგე?

პირველი დარაჯი — ყურით არაფერი გამიგია, მაგრამ აზრმა გამიელვა რომ რაღაც გავიგე.

მეორე დარაჯი — აზრმა? სმენის გარეშე?

პირველი დარაჯი — აი შენ, შენ ვერასდროს ვერაფერს იაზრებ, სწორედ ამიტომაც რომ არასდროს არაფერი გესმის და ვერაფერს ხედავ.

მეორე დარაჯი — მე არაფერი მესმის იმიტომ რომ არაფერია გასაგონი და ვერაფერს ვხედავ იმიტომ რომ არც არაფერია დასანახი. ჩვენი აქ ყოფნა უსარგებლოა, სწორედ ამიტომაც რომ ყოველთვის ერთმანეთის ლანძღვით ვამთავრებთ. შაშხანები, დადუმებული სირენები, ჩვენი გახელილი თვალები, სრულიად უსარგებლოა მაშინ, როცა წესით ყველას დახუჭული აქვს ამ დროს. ვფიქრობ, უსარგებლოა გეხილოს თვალები, მაშინ როცა არაფერს უჭვრეტ, და დაცქვეტილი გქონდეს ყურები, როცა არაფერს ელოდები, მაშინ როცა წესით და რიგით ამ დროს ჩვენი ყურები ჩვენი შინაგანი სამყაროს ხმაურს უნდა უსმენდეს, თვალები კი - შინაგან სამყაროს ჭვრეტდეს. შენ გწამს შინაგანი სამყაროსი?

პირველი დარაჯი – მე ვფიქრობ, უსარგებლო სულაც არაა აქ ვიყოთ, იმისთვის რომ ხელი შევუშალოთ გაქცევებს.

მეორე დარაჯი – მაგრამ აქ ხომ არავითარი გაქცევა არაა. შეუძლებელია. ციხე საკმაოდ ახალია. ყველაზე მცირეტანიან პატიმრსაც კი არ შეუძლია გაიქცეს. ისეთ პატარასაც კი როგორც ვირთხაა. თუ დიდ გისოსებში გავლენ, მას უფრო მჭიდრო მოჰყვება, როგორც საწური, შემდეგ – კიდევ უფრო წვრილი, როგორც საცერი. თხევადი უნდა იყო რომ აქედან გააღწიო. ხოლო, ხელი რომელსაც უცემია, და მკლავი რომელსაც დაუხრჩვია, არ შეიძლება რომ სითხისგან შედგებოდეს. პირიქით, ისინი უფრო მძიმე და ხელისშემშლელი უნდა გამხდარიყვნენ. როგორ წარმოგიდგენია ვინმე ვისაც თავში აზრად მოსდის ცემოს და დაახრჩოს, ჯერ იდეა თქვი და მერე მოქმედებაზე გადასვლა?!

პირველი დარაჯი – წმინდაწყლის ნაძირლობაა.

მეორე დარაჯი – მე, რომელიც აგერ უკვე ექვსი წელია დარაჯი ვარ, ყოველთვის ვაკვირდებოდი მკვლელებს, რომ ის აღმომეჩინა რაც მათ ჩემგან განასხვავებდათ, ციხის დარაჯისგან, რომელსაც არ შეუძლია არც ცემა და არც დახრჩობა, მეტიც, აზრდაც კი არ მოუვა. ვიფიქრე, ვემიე, შხაპის ქვეშაც კი ვუთვალთვალდები, რადგან მსმენია რომ მკვლელის ინსტიქტი სწორედ სასქესო ორგანოში იბუდებს. ექვსასზე მეტი ვნახე და რა, არანაირი კავშირი მათ შორის. ზოგი სქელია, ზოგი პატარა, ზოგი თხელი, ძალიან მცირე ზომისანიც კი არიან, მრგვალი, წვეტიანი, უზარმაზარი, ვერანაირ დასკვნას ვერ გამოიტან აქედან.

პირველი დარაჯი – წმინდაწყლის უზნეობაა, გეუბნები. ვერაფერს ხედავ?

*გამოჩნდა ზუკო, სახურავის კეხზე მიმავალი.*

მეორე დარაჯი – არა, საერთოდ ვერაფერს.

პირველი დარაჯი – ვერც მე, მაგრამ აზრმა გამიელვა რომ რაღაცას ვხედავ.

მეორე დარაჯი – ვიღაც სახურავზე მოსიარულე ტიპს ვხედავ. უძილობის ბრალი უნდა იყოს.



პირველი დარაჯი – რას უნდა აკეთებდეს ვიღაც ტიპი სახურავზე?  
მართალი ხარ. კარგი იქნება, თვალეები მოვხუჭოთ ხოლმე დროდადრო ჩვენს  
შინაგან სამყაროში.

მეორე დარაჯი – იმასაც კი ვიტყვოდი, თითქოს რობერტო ზუკო  
ყოფილიყოს; ის, ამ ნაშუადღევს რომ დააპატიმრეს მამამისის მკვლელობის გამო.  
მგვრგვინვარე მხეცი, ველური.

პირველი დარაჯი – რობერტო ზუკო. არ გამიგია.

მეორე დარაჯი – კი მაგრამ ხედავ რამეს? თუ მარტო მე ვხედავ?

*ზუკო მშვიდად მოიწევს წინ სახურავზე.*

პირველი დარაჯი – მგონია რომ რაღაცას ვხედავ, მაგრამ ეს რა არის?

*ზუკო ნელ-ნელა უჩინარდება საკვამურის უკან.*

მეორე დარაჯი – ეს ხომ პატიმარი გარბის.

*ზუკო გაუჩინარდა.*

პირველი დარაჯი – ამის დედაც, მართალი ხარ, გაქცევაა.

*სროლები, პროექტორები, სირენები.*

## II. დედის მკვლელობა

*ზუკოს დედა, საღამურში ჩაცმული, დაკეტილი კარის წინ.*

დედა – რობერტო, ხელი ტელეფონზე მიკიდია, ავიღებ და პოლიციაში დავრეკავ.

ზუკო – გამიღე.

დედა – არასოდეს.

ზუკო – თუ წიხლს დავარტყამ კარს, ძირს დაეცემა, მშვენივრად იცი, თავს ნუ ისულებლებ.

დედა – მიდი, დაარტყი მაშ, ავადმყოფო, შეშლილო, მიდი და მეზობლებსაც გააღვიძებ. ციხეში უფრო დაცული იყავი, რადგან ამათ თუ დაგინახეს, ლინჩის წესით გაგასამართლებენ: აქ მიღებული არაა რომ ადამიანმა მამა მოკლას. ამ უბანში ძაღლებიც კი აღმაცერად დაგიწყენებ ყურებას.

*ზუკო კარზე აბრახუნებს.*

დედა – როგორ გამოიქეცი? ეს რანაირი ციხეა?!

ზუკო – რამოდენიმე საათზე მეტი არასდროს უთვალთვალაო ჩემთვის ციხეში. არასდროს. გამიღე ეხლა, მოთმინებას მაკარგვინებ. გამიღე ან არადა ამ ხუხულას შემოვანგრევ.

დედა – რისთვის მოხვედი აქ? რაში დაგჭირდა აქ დაბრუნება? მე აღარ მსურს შენი ნახვა, აღარ! შენ აღარ ხარ ჩემი შვილი, მორჩა. მძღნერის ბუზზე მეტის არ ღირხარ ჩემთვის.

*ზუკო კარს შეანგრევს.*

დედა – რობერტო, არ მომიახლოვდე.

ზუკო – ჩემი საომარი ტანსაცმლის წასაღებად მოვედი.

დედა – შენი რა?

ზუკო — ჩემი საომარი ტანსაცმლის: ჩემი ხაკისფერი პერანგისა და საბრძოლო შარვლისთვის.

დედა — ოხ, ეს ბინძური სამხედრო ტანსაცმელი. და რაში გჭირდება ეს წუნკლიანი საომარი ტანსაცმელი? შეშლილი ხარ რობერტო. ამას ჯერ კიდევ მაშინ უნდა მივმხვდარიყავი აკვანში რომ იწექი და სანაგვეში უნდა გადამეძახე.

ზუკო — გაინძერი, იჩქარე, ახლავე მომიტანე ყველაფერი.

დედა — ფულს მოგცემ. შენ ფული გჭირდება. ყველანაირ ჩასაცმელს იყიდი რაც მოგესურვება.

ზუკო — ფული არაფერში მჭირდება. მე ჩემი საომარი ტანსაცმელი მინდა.

დედა — არ მინდა, არ მოგცემ. მეზობლებს შევყრი.

ზუკო — ჩემი საომარი ტანსაცმელი მინდა.

დედა — არ იყვირო რობერტო, არ იყვირო, შენ მე მაშინებ; არ იყვირო, მეზობლებს გააღვიძებ. არ მინდა რომ მოგცე, ეს შეუძლებელია: ჭუჭყიანი და გულისამრევია, არ მინდა რომ ასეთი ატარო. დამაცადე რომ გავრეცხო, გავაშრო, გავაუთოვო.

ზუკო. — მეთვითონ გავრეცხავ. სამრეცხაოში წავიღებ.

დედა — შენ რელსებიდან გადახვედი! ჩემი საბრალე მოხუცი. სრულიად შეშლილი ხარ.

ზუკო — ეს ადგილი სამყაროში ყველა ადგილს მირჩევნია. მშვიდია, წყნარი და თან ქალები არიან.

დედა — ფეხებზე მკიდია. არ მინდა რომ მოგცე. არ მომიახლოვდე, რობერტო. ჯერ კიდევ მამაშენს ვგლოვობ, მეც ხომ არ მომკლავ ბარემ?

ზუკო — ჩემი ნუ გეშინია დედა. მე ყოველთვის ალერსიანი და თავაზიანი ვიყავი შენთან. რატომ უნდა გეშინოდეს ჩემი? რატომ არ უნდა მომცე ჩემი საომარი ტანსაცმელი? მჭირდება დედა, მჭირდება.

დედა — ნუ იქნები თავაზიანი ჩემს მიმართ რობერტო. როგორ უნდა დავივიწყო რომ მამაშენი მოკალი?! ფანჯრიდან გაისროლე, ისე როგორც სიგარეტის ნამწვს ისვრიან! და ეხლა, თავაზიანი ხარ ჩემთან! არ მინდა დავივიწყო

რომ მამაშენი მოკალი, არ მინდა რომ შენმა ალერსიანობამ ყველაფერი დამავიწყოს, რობერტო.

ზუკო — დაივიწყე დედა. მომეცი ჩემი საომარი ტანსაცმელი, ჩემი ხაკისფერი პერანგი და საბრძოლო შარვალი. მომეცი თუნდაც ჭუჭყიანი, დაჭმუჭნული და წავალ, გეფიცები.

დედა — ეს მე ვიყავი, რობერტო, მე გაგაჩინე? ეს მე გშობე? ამქვეყნად რომ არ მომევილინე, რომ არ მენახა როგორ გაგაჩინე და როგორ გამოგაყოლე თვალი, იქამდე სანამ შენს საწოლზე არ დაგაწვინეს; აკვნიდანვე რომ შემეწყვიტა შენთვის ის გაუთავებელი ზედამხედველობა და დაჟინებით რომ არ დავკვირვებოდი თითოეული შენი სხეულის ცვლილებას, იმდენად რომ ამ ცვლილებების შემჩნევაც კი აღარ შემეძლო ბოლოს; და ეხლა, გხედავ აქ, იმის მსგავს როგორიც აქ, ამ საწოლზე გშობე, და მგონია რომ ეს ჩემი შვილი არ არის, ვინც ახლა ჩემს წინაშე დგას. თუმცა კი, მაინც გიცანი რობერტო. ვიცანი შენი სხეული, მოყვანილობა, შენი აღნაგობა, თმის ფერი, თვალების ფერი, ხელების მოყვანილობა, ეს ძლიერი დიდი ხელები, რომლებიც არასდროს მოფერებიათ დედაშენის კისერს, არც მამაშენს მოხვევიან ოდესმე, რომელიც ასე სასიკვდილოდ გაიმეტეს. რატომ შეიშალა ჭკუიდან ის ბავშვი, რომელიც ასეთი ჭკვიანი იყო ოცდაოთხი წლის მანძილზე?! როგორ დაკარგე რელსები, რობერტო? ვინ გაამრუდა ხის მორით ასეთი სწორი გზა, რომ ამ ორმოში ჩაეგდე? რობერტო, რობერტო, ხვეის ძირში გადაჩეხილი მანქანა ვეღარ შეკეთდება. მატარებელი, რომელიც რელსებიდან გადავა, აღარ ვაბრუნებთ უკან. ამიტომ, მივაგდებთ ხოლმე, ვივიწყებთ. მე დაგივიწყებ რობერტო, მე შენ დაგივიწყე.

ზუკო — სანამ დამივიწყებდე, მითხარი სად არის ჩემი სამხედრო ტანსაცმელი.

დედა — აქ გდია, კალათაში. ჭუჭყიანი და მთლად დაკუჭული. (*ზუკო სამხედრო ტანსაცმელს ამოიღებს*). ეხლა კი წადი, შენ მე დამპირდი.

ზუკო — კი, დაგპირდი.

*ის უახლოვდება, ეფერება მას, ეხვევა, გულში იკრავს, ის გმინავს.*

*ხელს უშვებს და ის ეცემა, გაგუდული.*

*ზუკო იხდის, სამხედრო ტანსაცმელს გადაიცვამს და გადის.*

### III. მაგიდის ქვეშ.

*სამზარეულოში.*

*მაგიდა, გადასაფარებლით დაფარული, რომლიც იატაკამდე დასთრევს.*

*შემოდის ქარაფშუტა გოგოს და.*

*ფანჯრისკენ მიემართება, ოდნავ შეაღებს.*

და — შემოდი, არ იხმაურო, ფეხსაცმელები გაიხადე, აქ დაჯექი და გაჩუმდი. (ქარაფშუტა გოგო ფანჯარას გამოაღებს). მაშ ასე, ღამე, იგივე დროს, კედლის ძირში ჩაცუცქულს გპოულობ. შენი ძმა კი ამდროს ქალაქში დაჰქრის მანქანით და პირობას გაძლევ, როცა გიპოვის, მაგრად მოგარტყავს მაგ ტრაკზე, მითუმეტეს, კარგად ეხერხება ჯოჯოხეთური ტკივილის მოყენება. დედაშენს კი უკვე საათებია ფანჯარიდან ყურებაში დაებრიცა თვალები და ვინ იცის რა აზრმა აღარ გაუელვა თავში - გარეწართა მიერ ჯგუფური გაუპატიურებით დაწყებული, ტყეში ნაპოვნი დასახიჩრებული სხეულით დამთავრებული, ისეთ სადიზმზე რომ აღარაფერი ვთქვათ, როცა სარდაფში დაბმულს ყველა უბედურება გადახდება ხოლმე თავს. მამაშენი კი, უკვე იმდენად დარწმუნებულია რომ ველარასდროს გნახავს, გონისდაკარგვამდე გაილეშა და ალბათ დივანზე ხვრინავს უიმედობის ფშვინით აღმომხდარს. აი მე კიდევ, როგორც გიჟი ისე დავრბოდი წინ და უკან უბანში და უცებ გპოულობ აქ, კედლის ძირში ჩაცუცქულს. მაშინ როცა, შეგეძლო უბრალოდ ეზოში დატეულიყავი, რომ მშვიდად გვამყოფო. მხოლოდ ის დაიმსახურე, რომ შენმა ძმამ კარგად გაგაპანდუროს, ძალიან დიდი იმედი მაქვს, ქანცის გაწყვეტამდე გირტყამს. (შეყოვნება.) როგორც ვხედავ, გადაწყვიტე რომ ხმა აღარ გამცე, არჩიე, რომ სამუდამოდ დადუმდე. სიჩუმე. სიჩუმე. ყველა აღელვებულია ჩემს ირგვლივ მე კი ვდუმვარ, პირმოკუმული. ერთი ვნახავ როგორ მოკუმავ პირს, როცა შენი ძმა პანჩურებს გითავაზებს. როდის აპირებ, რომ ეგ პირი გაალო და ამისხნა, რა უფლებით დაბრუნდი ასე გვიან, მაშინ როცა ღამე გასვლის ნებართვა გქონდა? მაგ დაწყევლილ პირს თუ არ გააღებ და არ ამოდერღავ, გავცეცხლდები და მეთვითონვე გამოვიტან ყოველგვარ დასკვნას. ჩემო ჩიტუნია, ელაპარაკე შენს დას,

ყველაფერი შემოდის გაგიგო, შენი ძმის გაბრაზებისგანაც დაგიცავ, გეფიცები. (დაყოვნება) ქერქეტული ისტორია გადაგხდა თავს, ბიჭს შეხვდი, რომელიც იდიოტი აღმოჩნდა, როგორც ყველა ბიჭი, ის მოუხერხებელი იყო და უხეშად მოგექცა ხომ? ჩემო სკვინჩა, ნაცნობი სიტუაციაა, მეც ვყოფილვარ ბავშვი, მეც დავდიოდი მსგავს დღესასწაულებზე სადაც ბიჭები ნამდვილი კრეტინები არიან. ვინმესაც რომ ეკოცნა, მერე რამოხდა?! კიდეც ათასჯერ გაკოცებს ვინმე იდიოტი, შენი სურვილი იქნება თუ არა, ჩემო საბრალო, დუნდულებზეც დაგადებენ ხელს, გენდომება შენ ეს თუ არა, იმიტომ რომ ბიჭები კრეტინები არიან და ერთადერთი რისი გაკეთებაც იციან, ღლაპი გოგოებისთვის ტრაკზე ხელის მოკიდებაა. ისინი გიჟდებიან ამაზე. წარმოდგენა არ მაქვს რა სიამოვნებას პოულობენ ამაში, იმასაც კი ვფიქრობ რომ საერთოდ არანაირ სიამოვნებას არ პოულობენ. უბრალოდ მათში ასე მოსულა. მეტი არაფრის თავი აქვთ. ასე კრეტინულად არიან აწყობილნი. მაგრამ ამისგან ტრაგედია არ უნდა შევქმნათ. მთავარი მაინც ისაა, რომ დროზე ადრე არავინ შეგაცდინოს. ვიცი რომ შენს დროს ელოდები, ჩვენ ყველანი ერთად - დედაშენი, მამაშენი, შენი ძმა, მე და შენ თვითონაც კი, - ყველანი ერთად ავირჩევთ ვის უნდა მივცეთ შენი თავი. თუ არადა მაშინ ვინმე იხმარს ძალას შენზე, ამას კი ვინ გაბედავს ისეთ ნორჩ გოგოზე როგორც შენ ხარ, ასეთ სპეტაკზე, ასეთ შეურყვანელზე?! მითხარი რომ შენზე არ უძალადიათ! მითხარი რომ შენთვის ის არ წაურთმევიათ, რაც არ უნდა წაერთმიათ. მიპასუხე. მიპასუხე თუ არადა გავბრაზდები. (ხმაური). ჩქარა, მაგიდის ქვეშ დაიმალე. დარწმუნებული ვარ, შენი ძმა დაბრუნდა.

*ქარაფშუტა გოგო მაგიდის ქვეშ უჩინარდება. ნახევრადმთვლემარე, პიჯამაში ჩაცმული მამა შემოდის. სამზარეულოს გადაკვეთს, რამდენიმე წამით უჩინარდება, უკან გამოივლის და საძინებელში ბრუნდება.*

შენ ჯერ სულმთლად პატარა ხარ, უმწიკვლო, შენი დაიკოს პატარა ქალწული. მსგავსი არაფერი საშინელება არ მითხრა. შევიშლები. თუ შენ დალუპული ხარ, ჩვენც შენთან ერთად დალუპულები ვართ.

*შემოდის ძმა, კარის ჯახუნით. და მისკენ მიემართება.*

და — არ იყვირო, არ გაბრაზდე. ის აქ არ არის, მაგრამ ვიპოვეთ. ის გამოჩნდა, უბრალოდ აქ არაა. დამშვიდდი, თორემ გავგიჟდები. ყველა ამ უბედურებას ერთად ვერ გადავიტან, და თუ იყვირებ, თავს მოვიკლავ.

ძმა — სად არის? სად არის?

და — მეგობარ გოგოსთანაა. მეგობართან სძინავს, მეგობრის საწოლში, თბილად, უსაფრთხოდ, არაფერი არ მოუვა, არაფერი. საშინელი უბედურება დაგვატყდა თავს. არ იყვირო, გთხოვ, რადგან მერე ამას ინანებ და შეიძლება იტირო კიდევ.

ძმა — მე ვერაფერი ამატირებს, გარდა უბედური შემთხვევისა, რომელიც ჩემს პატარა დას შეიძლებოდა შემთხვეოდა. არადა, როგორ მეჭირა მუდამ თვალი მასზე; და აი, ამ სადამოს დამისხლტდა ხელიდან. ამდენწლიანი მეთვალყურეობის მანძილზე მან რამოდენიმე საათით მოახერხა გამქცეოდა. უბედურებას მეტი დრო სჭირდება, ადამიანს რომ დაატყდეს თავს.

და — უბედურებას დრო არ სჭირდება. მაშინ მოდის როცა მოესურვება და ყველაფერს თავდაყირა აყენებს ერთ წამში. ერთ წამში შეუძლია ნაცარტუტად აქციოს ყველაზე ძვირფასი საგანი, რასაც წლების მანძილზე ვუფრთხილდებით. *(ის იღებს ნივთს და ძირს აგდებს.)* და არ შეგვიძლია თავიდან გავამრთელოთ ნაწილები. სულ რომ ვიყვიროთ, მაინც აღარ შეგვეძლება ნამსხვრევების შეწებება.

*შემოდის მამა. სამზარეულოს გადაჭრის როგორც პირველ ჯერზე და უჩინარდება.*

ძმა — დამეხმარე დაო, დამეხმარე. შენ უფრო ძლიერი ხარ ვიდრე მე. მე არ შემიძლია უბედურებების ატანა.

და — არავის შეუძლია უბედურების ატანა.

ძმა — ჩემთან ერთად გაიზიარე.

და — ძალა აღარ შემწევს.

ძმა — ერთ ჭიქას გადავკრავ. *(ის გადის.)*



*მამა ბრუნდება.*

მამა — ტირი ჩემო გოგო? თითქოს მომესმა, ვიღაც ტიროდა. *(და წამოდგა.)*

და — არა. ვლილინებდი. *(ის გადის.)*

მამა — მართალი ხარ. ეს ბევრად განსხვავდება უბედურებისგან. *(ის გადის.)*

*რალაც პერიოდის შემდეგ, ქარაფშუტა გოგო მაგიდის ქვეშიდან გამოდის, უახლოვდება ფანჯარას, შეაღებს და ზუკოს შემოღებებს.*

ქარაფშუტა გოგო — ფეხსაცმელები გაიხადე. რა გქვია?

ზუკო — როგორც გაგეხარდება ისე მომმართე. და შენ?

ქარაფშუტა გოგო — მე აღარ მაქვს სახელი. გამუდმებით რალაც იდიოტური ფრინველების სახელებს მეძახიან, წიწილა, სკვინჩა, ბელურა, ტოროლა, შოშია, მტრედი, მერცხალი. მერჩივნა ვირთხა დაეძახათ, ჩხრიალა გველი ან თუნდაც გოჭი. რას საქმიანობ?

ზუკო — ცხოვრებაში?

ქარაფშუტა გოგო — ხო რას საქმიანობ, შენი პროფესია, საქმიანობა, ფულს როგორ შოულობ, მოკლედ ყველა ის რალაცეები რასაც ყველა აკეთებს რა.

ზუკო — მე იმას არ ვაკეთებ რასაც ყველა აკეთებს.

ქარაფშუტა გოგო — ხოდა მაგას გეკითხები ზუსტად, რას აკეთებ.

ზუკო — საიდუმლო აგენტი ვარ. იცი რა არის საიდუმლო აგენტი?

ქარაფშუტა გოგო — მე ვიცი რომ ეს საიდუმლოებაა.

ზუკო — აგენტი, იმის გარდა რომ საიდუმლო უნდა იყოს, მოგზაურობს, მსოფლოს უვლის, მას იარაღი აქვს.

ქარაფშუტა გოგო — შენ იარაღი გაქვს?

ზუკო — რა თქმა უნდა მაქვს.

ქარაფშუტა გოგო — მაჩვენე.

ზუკო — არა.

ქარაფშუტა გოგო — ესეიგი არ გაქვს.

ზუკო — შეხედე. *(დამბაჩას ამოიღებს.)*

ქარაფშუტა გოგო — ეს არაა იარაღი.

ზუკო — ამით ისევე მშვენივრად შეგიძლია მოკლა როგორც ნებისმიერი სხვა იარაღით.

ქარაფშუტა გოგო — მოკვლის გარდა, სხვა რისი გაკეთება ევალება საიდუმლო აგენტს?

ზუკო — მოგზაურობს, აფრიკაში მიდის. იცი აფრიკა?

ქარაფშუტა გოგო — ძალიან კარგად თან.

ზუკო — ისეთი ადგილები ვიცი აფრიკაში, ისეთი მაღალი მთები, რომ სულ თოვს. არავინ არ იცის რომ აფრიკაში თოვს. აი მე პირადად, რაც ყველაფერს მირჩევნია სამყაროში, ეს აფრიკაში მოსული თოვლია, რომელიც გაყინულ ტბებზე ბარდნის.

ქარაფშუტა გოგო — სიამოვნებით წავიდოდი აფრიკაში თოვლის სანახავად. ციურებით ვისრიალებდი გაყინულ ტბებზე.

ზუკო — თეთრი მარტორქებიცაა, რომლებიც თოვლქვეშ, ტბის ქვემოთ მოძრაობენ.

ქარაფშუტა გოგო — რა გქვია? მითხარი შენი სახელი.

ზუკო — არასდროს ვიტყვი ჩემს სახელს.

ქარაფშუტა გოგო — რატომ? მინდა ვიცოდე შენი სახელი.

ზუკო — საიდუმლოა.

ქარაფშუტა გოგო — საიდუმლოების შენახვა ვიცი. მითხარი შენი სახელი.

ზუკო — დამავიწყდა.

ქარაფშუტა გოგო — მატყუარა.

ზუკო — ანდრეასი.

ქარაფშუტა გოგო — არა.

ზუკო — ანჯელო.

ქარაფშუტა გოგო — მასხრად ნუ მიგდებ თორემ ვიყვირებ. აქედან არცერთი არაა შენი სახელი.

ზუკო — და საიდან იცი რომ არაა, შენ ხომ წარმოდგენაც არ გაქვს?

ქარაფშუტა გოგო — შეუძლებელია. ეგრევე მივხვდებოდი.

ზუკო — არ შემიძლია ამის თქმა.

ქარაფშუტა გოგო — მერე რა რომ არ შეგიძლია, მითხარი მაინც.

ზუკო — შეუძლებელია. შესაძლოა უბედურება შემემთხვეს.

ქარაფშუტა გოგო — არაფერი მოგივა. მითხარი მაინც.

ზუკო — თუ გეტყვი, მოგკვდები.

ქარაფშუტა გოგო — მაინც მითხარი.

ზუკო — რობერტო.

ქარაფშუტა გოგო — რობერტო რა?

ზუკო — ამით დაკმაყოფილდი.

ქარაფშუტა გოგო — რობერტო რა? თუ არ მეტყვი ვიყვირებ, და ჩემი ძმა, რომელიც ისედაც გაცოფებულია, მოგკლავს.

ზუკო — შენ მე მითხარი რომ იცოდი რა არის საიდუმლო. ნამდვილად იცი?

ქარაფშუტა გოგო — ეს ერთადერთი რამაა რაც შესანიშნავად მესმის. მითხარი შენი სახელი, მითხარი!

ზუკო — ზუკო.

ქარაფშუტა გოგო — რობერტო ზუკო. არასდროს დამავიწყდება ეს სახელი. მაგიდის ქვეშ დაიმალე; აი სამყარო.

*შემოდის დედა.*

დედა — საკუთარ თავს ელაპარაკები ჩემო მერცხალო?

ქარაფშუტა გოგო — არაა. ვლიღინებ რომ უბედურებას განვეშორო.

დედა — მართალი ხარ. *(დამსხვრეულ ნივთს ხედავს)* მით უკეთესი. აი, რახანია ამ ნაგავის მოშორება მინდა თავიდან.

*ის გადის.*

*ქარაფშუტა გოგო მაგიდისქვეშ დამალულ ზუკოს უერთდება.*

ქარაფშუტა გოგოს ხმა – შენ, ჩემო მოხუცო, შენ წაილე ჩემი ქალწულობა, შენვე შეინახე. ამიერიდან, არავის სხვას აღარ შეეძლება ეს წამართვას. სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე გექნება, მაშინაც კი შეგეძლება გქონდეს, როცა დამივიწყებ, ან მოკვდები. მე კვალი დაგატყვე, როგორც ჩხუბის შემდეგ დარჩენილი ნაირევი. ვერ გავრისკავ რომ დამივიწყო, რადგან სხვა მეტი აღარაფერი მაქვს ვინმესთვის მისაცემი; მორჩა, დასრულდა, სიცოცხლის ბოლომდე. ეს უკვე გავეცი და ის შენ გაქვს.

#### IV. ინსპექტორის მელანქოლია.

*მეძავთა სასტუმრო „პატარა ჩიკაგოს“ მისაღები.*

ინსპექტორი – მოწყენილი ვარ, უფროსო. გული მაქვს დამძიმებული და არ ვიცი რატომ. ხშირად ვარ მოწყენილი, მაგრამ ამჯერად არის რაღაც, რაც გულს მიღრნის. როგორც წესი, როცა ამგვარად ვგრძნობ თავს - მხოლოდ ტირილისა და სიკვდილის გუნებაზე მყოფი, მიზეზს ვეძებ ამ მდგომარეობის. ყველაფერს ვალაგებ გონებაში რაც დღის მანძილზე, ღამით და ან წინა დღეს მოხდა. და ყოველთვის იქამდე მივდივარ, რომ ერთ უმნიშვნელო მოვლენას ვპოულობ, რომელიც იმწუთას არაფერ ზემოქმედებას არ ახდენს ჩემზე, მაგრამ როგორც ერთი მიკროსკოპული ჭუჭყის მიკრობი, ისე მოიკალათებს ჩემს გულში და გულს მიწყალებს. და როცა აღვიდგენ ხოლმე ამ უმნიშვნელო მოვლენას, რომელიც ამხელა ტანჯვას მანიჭებს, მეცინება ამაზე, და მიკრობიც მომენტალურად ისე იჭყლიტება, როგორც ტილი - ფრჩხილით და ყველაფერი თავის რიგს უბრუნდება. მაგრამ დღეს, ვეძიე, მთელი უკანასკნელი სამი დღე აღვადგინე გონებაში, ხან წაღმა ვუტრიალე, ხან უკუღმა და საბოლოოდ მაინც ვერ გავიგე საიდან მოდის უბედურება, კვლავაც ისეთი დანაღვლიანებული და დამძიმებული ვარ.

მეპატრონე – ზედმეტად კაგად გეხერხებათ ცხედრებისა თუ სუტენიორების ამბების მოჭახრაკება, ინსპექტორო.

ინსპექტორი. - ცხედრები იმდენად არა, მაგრამ სუტენიორები კი, რამდენიც გინდა. ჯობდა უფრო მეტი გვამი ყოფილიყო და ნაკლები სუტენიორი.

მეპატრონე – პირადად მე, სუტენიორები მირჩვენია, ისინი მასულდგმულეებენ და თავადაც კარგად გააქვთ თავი.

ინსპექტორი – უნდა წავიდე ბატონო, მშვიდობით.

*ზუკო ოთახიდან გადის, გასაღებით კეტავს კარს.*

მეპატრონე – არასდროს თქვამთ მშვიდობით, ინსპექტორო.

*ინსპექტორი გადის, თან მიჰყვება ზუკოც.*

*რამდენიმე წამის შემდეგ შემოდის მეძავი, გაანჩხლებული.*

მეძავი – ქალბატონო, ქალბატონო, ბოროტმა ძალებმა გადაუარა „პატარა ჩიკაგოს“. მთელი კვარტალი თავდაყირაა, მეძავები აღარ მუშაობენ, სუტენიორები პირშიჩალაგამოვლებულნი დარჩნენ, კლიენტები გაიქცნენ, ყველაფერი გაჩერდა, გაიყინა. თქვენ დემონი შეიფარეთ სახლში, ქალბატონო. ეს ბიჭი, ახლახანს რომ მოვიდა, კრინტს არ სძრავს და ქალბატონების შეკითხვებს არ პასუხობს, საკითხავია საერთოდ ხმა ან სქესი თუ აქვს, თუმცა, ამ ბიჭს ისეთი მშვიდი გამოხედვა აქვს, მშვენიერი ბიჭია კაცმა რომ თქვას, ბევრი ვიჭორავით ქალებმა მასზე, - აი ისიც, ინსპექტორის უკან რომ მიდის. ჩვენ, ქალები, კარგად დავაკვირდით მას, ვიცინეთ, მოსაზრებები გამოვთქვით. ის ინსპექტორის უკან მიაბიჯებს, ღრმა ფიქრებში ჩაფლული, ისე მიდის მის უკან, თითქოს მისი ჩრდილი იყოს და ეს ჩრდილი ისე მიწვრილებულა, შუადღისპირზე რომ იცის ხოლმე. ის უფრო და უფრო უახლოვდება ინსპექტორის მოხრილ ზურგს, მოულოდნელად იღებს დიდ დანას ჯიბიდან და საწყალი კაცის ზურგში ასობს. ინსპექტორი შეშდება. არ ტრიალდება. ის მშვიდად არხევს თავს, გეგონებოდა, იმ ფიქრმა, რომელშიც ჩაძირულიყო გასაქანი ჰპოვაო. შემდეგ მთელი მისი სხეული შეირხა და ძირს გაიშლართა. არც მკვლელს და არც მსხვერპლს არცერთი წამით არ შეუხედავთ ერთმანეთისთვის. ბიჭს თვალი ინსპექტორის რევოლვერზე ეჭირა ქალბატონო, ის დაიხარა, რევოლვერი აიღო, ჯიბეში ჩაიღო და მშვიდად წავიდა, დემონური სიმშვიდით. არავინ არ განძრეულა, ყველა გაშემებული უყურებდა როგორ მიდიოდა. ის ბრბოში გაუჩინარდა. ნამდვილად ეშმაკი შეიფარეთ ჭერქვეშ, ქალბატონო.

პატრონი – ყოველშემთხვევაში, ინსპექტორის მკვლელობით წასულია ამ ბიჭის საქმე.

## V. ძამიკო

*სამზარეულო. ქარაფშუტა გოგო კედელთანაა, შეშინებული.*

ძმა — ჩემი ნუ გეშინია, ჩემო წიწილა. არაფერს დაგიშავებ. შენი და იდიოტია. რატომ ჰგონია რომ გაგტყეპ? შენ უკვე დაქალდი, მე კი არასდროს მიცემია ქალი. ძალიან მიყვარს ქალები, მათ ვამჯობინებ. უმცროს დას გაცილებით ჯობია. უმცროსი დის ყოლა გულისგამაწვრილებელია. ყოველთვის თვალყური უნდა ადევნო, თვალი უნდა გეჭიროს მასზე. რისთვის, რა უნდა დაიცვა? მისი ქალწულობა? რამდენი ხნის განმავლობაში უნდა ადევნო თვალი მის ქალწულობას? მთელი ის დრო, რაც მის ზედამხედველობაზე მეჭირა, გაფლანგული დროა. ძალიან მენანება ეს დრო. ყოველ დღეს, ყოველ დაკარგულ საათს ვნანობ. გოგოები მაშინვე უნდა კარგავდნენ ქალწულობას როცა გოგოები არიან, მხოლოდ ასე თუ ეღირსებათ უფროს ძმებს სიმშვიდე, მათ აღარფერზე ექნებათ თვალი სადევნებელი და შეეძლება სხვა რაღაცას დაუთმონ თავიანთი დრო. მე ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ ბიჭმა გიხმარა, იმიტომ რომ ეხლა დავისვენე. შენ შენს გზაზე ივლი, მე ჩემსაზე, ჩემი სათრევი აღარ იქნები. ჯობია მოხვიდე, ერთი ჭიქა დალიო ჩემთან ერთად. ამიერიდან უნდა ისწავლო, რომ აღარ დახარო თვალები, აღარ გაწითლდე, უნდა გაბედო თვალი გაუსწორო ბიჭებს. ყველაფერი ძველი ჩავლილია. უნდა შეებრძოლო ამას. თავი აწიე, ბიჭებს შეხედე, დაჟინებული მზერით შეხედე, გიჟდებიან ამაზე. არცერთი წამით აღარ წაგადგება სიმორცხვე. აფეთქდი ახლავე, ჩემო დაოსტატებულო. გათავისუფლდი შინაგანად, „პატარა ჩიკაგოში“ იხეტიალე მეძავებთან ერთად, გახდი მეძავი: ფულს იშოვი და არავის კისერზე აღარ იქნები. შესაძლოა ბარებშიც გადაგეყარო, სადაც გამოსაჭერად დადიან, ნიშანს მოგცემ, ბარის ძმაკაც-მეგობრები ვიქნებით, ეს ნაკლებ გულისგამაწვრილებელია და უფრო გავერთობით. დროს ნუღარ დაკარგავ თვალების ძირს დახრასა და ფეხების შეტყუებაში, ბარტყო, ეს აღარაფრის მომტანია. ყოველშემთხვევაში, ახლანდელ დროში ქორწინება დრომოჭმულია. ქორწილისთვის შენზე ზედამხედველობას აზრი ჰქონდა, ქორწინების დღემდე

რომ თვალეზი მორცხვად დაგეხარა, ამასაც ჰქონდა აზრი, მაგრამ ახლა ქორწინება ყავლგასულია და შესაბამისად ყველაფერმა დანარჩენმა აზრი დაკარგა. აი ასე, უეცრად, ყველაფერი უაზრო გახდა: ქორწინება, ოჯახი, მამაშენი, დედაშენი, შენი ძამიკო; აი მე, ფეხებზე მკიდია. მამაშენი სილატაკის ღრმა ძილს მისცემია, დედაშენი ღვარღვარებას ჰყრის. ჯობია გაეცალო, იყონ და იტირონ. შეგიძლია ბავშვები გააჩინო: მაინც ყველას ფეხებზე კიდია. შეგიძლია არ გააჩინო, სულ ერთია. რაც გინდა ის ქენი. მე მოვრჩი შენზე თვალყურისდევენებას, შენც გამობვედი ბალღობის ასაკიდან. ამიერიდან, ასაკი აღარ გაგაჩნია, თხუთმეტის იქნები თუ ორმოცდაათის, ერთი და იგივეა. შენ უბრალოდ მდედრი ხარ და სხვა დანარჩენი ყველას ფეხებზე კიდია.



## VI. მეტრო

*დასათაურებული მცირე განცხადების ქვეშ: „იძებნება“, ცენტრში ზუკოს პორტრეტით, ვინაობის გარეშე; მეტროსადგურის სკამზე გვერდიგვერდ მსხდარი მოხუცი კაცი და ზუკო, მეტროს არასამუშაო საათებში.*

ბატონი — მე მოხუცი კაცი ვარ და ველარ ვიგებ რა არის სწორი. ბედნიერი ვიყავი, როცა ბოლო მეტროს მივუსწარი, მაშინ კი უეცრად, ამ ლაბირინთივით დერეფნებისა და კიბეების გზაჯვარედინზე ველარ ვიცანი ჩემი ბაქანი, რომლითაც რეგულარულად ვსარგებლობდი და რომელზეც მეგონა, რომ ისე კარგად ვიცნობდი, როგორც საკუთარ ბიძაშვილს. თუმცა არ ვიცოდი, რომ მისი გამჭვირვალე ბილიკების მიღმა, რომელსაც ყოველდღე ვტკეპნიდი, გვირაბების ბნელ სამყაროს მალავდა, უცნობი მიმართულებები, რომლებიც მერჩივნა არ მცოდნოდა, მაგრამ ჩემი ყეყეჩური დაბნეულობა მაძალებდა მეცნო. და აი, უეცრად სინათლეები ჩაქრა, მხოლოდ პატარა თეთრი ფარნებიღა კიაფობდა, რომელთა არსებობასაც კი არ ვაღიარებ. მე კი მივაბიჯებ სულ პირდაპირ, უცნობ სამყაროში, რაც შეიძლება სწარაფად, ეს კი დიდს არაფერს ნიშნავს ისეთი მოხუცი კაცითვის როგორიც მე ვარ. და მაშინ, როცა დაუსრულებელი მექანიკური კიბის ბოლოს, გაჩერებასთან, მგონია რომ გასასვლელი შევამჩნიე, ბრახ! და უზარმაზარი გისოსი კეტავს გასასვლელს. და აი აქ აღმოვჩნდი, ჩემი ასაკის კაცისთვის მეტად არარეალურ სიტუაციაში, ჩემი დაბნეულობისა და ზანტი ნაბიჯების გამო დასჯილი, აღარ ვიცი უკვე რას ველოდები და აღარც მინდა ვიცოდე, რადგან ასეთი სიახლეები ცალსახად რთული გადასატანია ჩემს ასაკში. ნამდვილად სისხამი დილაა, კი, ნამდვილად ესაა, ამ გაჩერებაზე ვიცდი ხოლმე, რომელიც ისეთი ნაცნობი იყო, როგორც ჩემი სამზარეულო, მაგრამ ის ახლა შიშს მგვრის. ნამდვილად იმის მოლოდინში ვარ, რომ ჩვეული განათებები აინთოს და პირველმა მეტრომ გაიაროს. თუმცა, ძალიან შეწუხებული ვარ, რადგან არვიცი, როგორ ვიხილავ კვლავ დღის სინათლეს ასეთი სულელური თავგადასავლის მერე, ეს სადგური არასდროს მომჩვენებია ასეთი, მე ველარ შევძლებ თავი

ავარიდო ამ პატარა თეთრი ფარნების არსებობას, რომლებიც არ არსებობდა წინათ; თან ეს უძილო ღამე, არვიცი როგორ შეიცვალა ცხოვრება, მე არასდროს შემიცვლია, ყველაფერი თავდაყირა დადგა, დღეები ღამეებს აღარ ანაცვლებენ, როგორც უწინ. მე ძალიან შეწუხებული ვარ ყოველივე ამის გამო. მაგრამ, თქვენ, ახალგაზრდა კაცო, რომლის ფეხებიც საკმაოდ მოქნილი მეჩვეება, გონება კი ნათელი, კი, კარგად ვხედავ თქვენს ნათელ გამოხედვას, და არა ისეთ შეშლილს და სულელურს, როგორიც ჩემნაირ ბერიკაცს აქვს; შეუძლებელია იმის დაჯერება, რომ თქვენ ამ დერეფნებისა და გისოსების ტყვეობაში მოექცეით, შეუძლებელია; ისეთი ნათელი გონების ახალგაზრდა, როგორიც თქვენ ხართ, გადარაზულ გისოსაც კი ისე გაივლის როგორც წყლის წვეთი-საცერს. ღამით აქ მუშაობთ? მომიყევით თქვენზე, ეს შვებას მომგვრის.

ზუკო — მე ჩვეულებრივი და საღად მოაზროვნე ბიჭი ვარ ბატონო. არასდროს გამოვირჩეოდი. შემამჩნევდით თქვენს გვერდით რომ არ ვმჯდარიყავი? ყოველთვის მიმაჩნდა, რომ მშვიდად ცხოვრების საუკეთესო საშუალება მინასავით უფერულად ყოფნაა, როგორც ქამელეონი—ქვაზე, გააღწიო რა კედლებში, არ გქონდეს არც ფერი, არც სუნი, ხალხის მზერა თქვენზე არ ეცემოდეს და თქვენს უკან ხედავდეთ მათ, ისე, თითქოს იქ არც ყოფილიყავით. რთული საქმეა, იყო გამჭვირვალე; ეს ხელობაა, ძველი, უძველესი ოცნებაა იყო უხილავი. მე არ ვარ გმირი. გმირები კრიმინალები არიან. არ არსებობს გმირი, რომლის ტანისამოსიც სისხლით არ გათხვრილა და სისხლი კი ერთადერთი რამ არის სამყაროში, რაც შეუმჩნეველი ვერ დარჩება. ეს ყველაზე ხილული რამაა სამყაროში. როცა ყველაფერი აღიგვება, როცა აღსასრულის ნისლი დაფარავს დედამიწას, გმირების სისხლისგან გათხვრილი ტანსაცმელი მაინც დარჩება. მე განათლება მივიღე, კარგი მოსწავლე ვიყავი. უკან ვერ დავბრუნდებით დროში, როცა ჩვევად გავიხადეთ კარგ მოსწავლედ ყოფნა. მე ჩავეწერე უნივერსიტეტში. სორბონის გრძელ სკამზე სხვა სტუდენტებს შორის ჩემი ადგილი მქონდა, რომელთა წრეში არასდროს მიმჩნევდნენ. გეფიცებით, სორბონაში რომ ისწავლოთ, კარგი სტუდენტი უნდა იყო, მოკრძალებული და უხილავი. ეს იმ გარეუბნის უნივერსიტეტთაგანი არაა, სადაც ნამირლები არიან, ან ისინი ვინც თავს გმირებად

ასაღებენ. ჩემი უნივერსიტეტის დერეფნები ჩუმია, აჩრდილები დაიარებიან, რომელთა ფეხის ხმაც კი არ ისმის. ხვალდანვე დავუბრუნდები ჩემი ლინგვისტიკის სალექციო კურსს. ხვალ ლინგვისტიკის სალექციო კურსის დღეა. მეც იქ ვიქნები, უხილავი სხვა უხილავთა შორის, მდუმარე და მთელი არსით ჩაფლული ჩვეულებრივი ცხოვრების სქელ ნისლში. არაფერს შეეძლება შეცვალოს მოვლენათა დინება, ბატონო. მე მატარებელივით ვარ, რომელიც მშვიდად სერავს მინდვრებს და არაფერს ძალუძს მისი რელსებიდან გადასვლა. მე შლამში ჩაფლული ჰიპოპოტამივით ვარ, რომელიც ძალიან ნელა გადაადგილდება და არაფერს შეუძლია იმ გზის ან რიტმის შეცვლა, რაც მან თავიდანვე აირჩია.

ბატონი — ყოველთვის შეიძლება რელსებიდან გადასვლა, ახალგაზრდა კაცო, დიახ, ახლა უკვე ვიცი, რომ ნებისმიერი შეიძლება გადავიდეს რელსებიდან, ნებისმიერ დროს. მე როგორც მოხუცი კაცი, რომელსაც სწამდა, რომ სამყაროს და ცხოვრებას ისე იცნობდა როგორც საკუთარ სამზარეულოს, ბრახ! და უცებ სამყაროს მიღმა აღმოვჩნდი, ამ დროს, რომელიც არვიცი, უცნობი განათებების ქვეშ, მით უფრო იმაზე წუხილით, რა მოხდება როცა პირველი მეტრო გაივლის და რიგითი ადამიანები, როგორც მე ვიყავი, ამ გაჩერებას გადაავსებენ და მე კი, ამ პირველი თეთრად გათენებული ღამის შემდეგ, აქედან გაღწევა დამჭირდება, რომ გადავკვეთო საბოლოოდ გაღებულ გისოსი; ვიხილო დღე, მაშინ როცა ღამე არ მინახავს. და აღარ ვიცი უკვე, ახლა რა მოხდება, რაგვარად დავინახავ სამყაროს და რაგვარად დამინახავს სამყარო მე, ან სულაც არ დამინახავს. ვინაიდან, მე უკვე აღარ მეცოდინება რა არის დღე და რა - ღამე, მე აღარ მეცოდინება რა მოვიმოქმედო, მე შევბრუნდები ჩემს სამზარეულოში საათის საძებნელად და ყველაფერი შიშს მომგვრის, ახალგაზრდა კაცო.

ზუკო — რეალურად, საკმარისი მიზეზია რომ გეშინოდეს.

ბატონი — თქვენ ენაბლუობთ, ძალიან მსუბუქად, ძალიან მომწონს ეს. მამშვიდებს. დამეხმარეთ, იმ დროს როცა ამ ადგილს ხმაური დაიპყრობს. დამეხმარეთ, მიიყვანეთ დაკარგული მოხუცი კაცი, როგორც მე ვარ, გასასვლელმადე, ან შესაძლოა-მის მიღმაც.

*სადგურის განათებები ინთება. ზუკო მოხუცს ეხმარება ადგომაში და თან  
მისდევს. პირველი მეტრო გაივლის.*

## VII. ორი და

*სამზარეულოში. ქარაფშუტა გოგო, ჩანთით. შემოდის მისი და.*

და — გიკრძალავ წასვლას.

ქარაფშუტა გოგო — შენ ვერ ამიკრძალავ. ამიერიდან, მე უფრო დიდი ხნის ვარ ვიდრე შენ.

და — რას ბოდილობ? შენ ხის ტოტზე დასკუპებული პატარა ბედურა ხარ. მე კი, შენი უფროსი და ვარ.

ქარაფშუტა გოგო — შენ ხომ გახანგრძლივებული ქალიშვილი ხარ, წარმოდგენა არ გაქვს ცხოვრებაზე, კარგად ზედამხედველობდი შენს თავს, კარგად დაიცავი. მე კი ხნიერი ვარ, გაუპატიურებული, დაკარგული, დამოუკიდებელი ჩემს გადაწყვეტილებებში.

და — შენ ხომ ჩემი პატარა და ხარ, რომელიც მთლიანად მენდობა?

ქარაფშუტა გოგო — შენ არ ხარ დიდი გოგო, არაფერზე არ გაქვს წარმოდგენა და შეგიძლია, უბრალოდ ხმა არ ამოიღო ჩემი გამოცდილების პატრონთან?

და — რა გამოცდილებაზე ლაპარაკობ? უბედურების გამოცდილება არაფერშია საჭირო. ის რაც შეიძლება მალე უნდა იქნეს დავიწყებული. მხოლოდ ბედნიერებაში მიღებული გამოცდილება თუ ემსახურება რაიმეს. შენ ყოველთვის გეხსომება შენს მშობლებს, შენს ძმასა და დას შორის გატარებული ლამაზი, მშვიდი საღამოები; მოხუცებულობამდე გაგყვება ეს. მაშინ როცა, უბედურებას, რომელიც ჩვენ დაგვატყდა, მალე დაივიწყებ, ჩემო შოშიავ, შენი დის, ძმისა და მშობლების მეთვალყურეობისქვეშ.

ქარაფშუტა გოგო — დავიწყებით, ჩემს მშობლებს, ძმასა და დას დავივიწყებ, ვივიწყებ კიდევ; მაგრამ ჩემს უბედურებას კი - ვერ.

და — შენი ძმა დაგიცავს, ჩემო პაწია ნამგალა, მას ისე ეყვარები, როგორც არავის, იმიტომ რომ მას ყოველთვის ისე უყვარდი, როგორც არავინ არასდროს. ის ერთადერთი იქნება ყველა მამაკაცს შორის, რომელიც შენ დაგჭირდება.

ქარაფშუტა გოგო — არ მინდა რომ შემიყვარონ.

და. — ნუ ამბობ ამას. ეს ერთადერთი რამაა რაც ღირებულია ამ ცხოვრებაში.

ქარაფშუტა გოგო — როგორ ბედავ ამის თქმას? შენ ხომ არასდროს არანაირი კაცი არ გყოლია. არასდროს არავის ჰყვარებიხარ. მთელი ცხოვრება მარტო დარჩი და ძალიან უბედური იყავი.

და. — მე არასდროს ვყოფილვარ უბედური, შენს უბედურებას თუ არ ჩავთვლით.

ქარაფშუტა გოგო — როგორ არა, ვიცი, რომ ძალიან უბედური იყავი. არაერთხელ წაგდგომივარ თავზე, ფარდის უკან მოტირალს.

და. — მე უმიზეზოდ ვტირი ხოლმე, რეგულარულ დროებში, იმისთვის რომ წინ წავიწიო, და ამიერიდან, ვეღარასდროს მნახავ მოტირალს, რადგან ბევრად დავწინაურდი. რატომ გინდა რომ წახვიდე?

ქარაფშუტა გოგო — მინდა რომ ის ვიპოვო.

და — მას ვერ იპოვი.

ქარაფშუტა გოგო — ვიპოვი.

და — შეუძლებელია. მშვენივრად იცი, რომ შენი ძმა დღე და ღამეს გაასწორებს, რომ შური იძიოს შენს გამო.

ქარაფშუტა გოგო — მაგრამ, მე არ მსურს შურისძიება, მაშ, მე მას ვიპოვი.

და — და რას მოიმოქმედებ, როცა მას იპოვი?

ქარაფშუტა გოგო — რაღაცას ვეტყვი.

და — რას?

ქარაფშუტა გოგო — რაღაცას.

და — რას ფიქრობ, სად შეიძლება იყოს?

ქარაფშუტა გოგო — „პატარა ჩიკაგოში“.

და — რატომ გინდა რომ გადაიკარგო, უცოდველო მტრედო? არ მიმატოვო, არ დამტოვო მარტო. არ მინდა, მარტო დავრჩე შენს მშობლებთან და ძმასთან ერთად. არ მინდა ამ სახლში მარტო დარჩენა. უშენოდ ჩემს სიცოცხლეს ჩალის ფასი აქვს, არაფერს აღარ ექნება მნიშვნელობა. არ მიმატოვო, გევედრები, არ მიმატოვო. მე მძულს შენი ძმა, შენი მშობლები და ეს სახლი, შენ ერთადერთი ხარ

ვინც მიყვარს, ჩემო მტრედო, ჩემო მტრედო, მხოლოდ შენ არსებობ მთელ ჩემ ცხოვრებაში.

*შემოდის მამა, განრისხებული.*

მამა — დედათქვენმა ლუდი დამალა. წავალ ვცემ, როგორც უწინ ვცემდი. ნეტა რატო შევწყვიტე? მკლავი დამელალა, მაგრამ ძალა უნდა მოვიკრიბო, ვივარჯიშო, ვინმე სხვას გავაკეთებინო. ისევე უნდა განვაგრძო, როგორც უწინ: ყოველდღე ვცემო, რეგულარულ დროებში. დაუდევარი ვიყავი და აი, ეხლა ამიტომაც მიმალავს ლუდს; დარწმუნებულ ვარ, თქვენც თანამზრახველები ხართ. *(მაგიდის ქვეშ იყურება)*. ხუთი ბოთლი უნდა დარჩენილიყო. ხუთჯერ დაგარტყავთ თითოეულს, თუ ვერ ვიპოვი.

*ის გადის.*

და — ჩემი გვრიტი, „პატარა ჩიკაგოში“! როგორი უბედური უნდა იყო და რამდენად იქნები კიდევ.

*შემოდის დედა.*

დედა. — მამათქვენი კიდე გალეშილია. ერთი მეორის მიყოლებით ჩაცალა ლუდები. რა ნამუსით შეგიძლიათ, რომ ასეთი თავაზიანები იყოთ ამ შეშლილ მოხუცთან? თქვენ სრულიად მარტო მტოვებთ საცემრად ამ ლოთთან. სულ ფეხებზე გკიდიათ, ნებას აძლევთ, ამოგვწყვიტოს ალკოჰოლისგან გალეშილმა. ორი პატარა ჩერჩეტი, რომლებიც ყბედობენ, ყბედობენ, მხოლოდ თქვენი უმნიშვნელო იდიოტური ისტორიებით ხართ დაკავებული და მარტოს მტოვებთ ამ ლოთთან. ეს რა ჩანთაა?

და — მეგობართან მიდის, ღამე რომ გაათენოს.

დედა — მისი მეგობარი, მისი მეგობარი... რას წარმოადგენს ეგ მეგობარი? რა ჯანდაბა ხდება კი მაგრამ? რატომ უნდა გაატაროს ღამე მეგობართან? საწოლები

უკეთესია ვიდრე აქ? ღამის წყვდიადი იქ უფრო უკუნია, ვიდრე აქ? ასაკი რომ ხელს გიწყობდეთ და მე - ძალა, ორივეს გაგტყუპდით.

*ის გადის.*

და — არ მინდა რომ უბედური იყო.

ქარაფშუტა გოგო — მე ვარ უბედური და ვარ ბედნიერი. ბევრი ვიტანჯე, მაგრამ ბევრი სიამოვნება მივიღე ამ ტანჯვისგან.

და — მე კი, მოვკვდები თუ მიმატოვებ.

*ქარაფშუტა გოგო იღებს თავის ზურგჩანთას და გადის.*



## VIII. ზუსტად სიკვდილის წინ

*ლამის ბარი. ტელეფონის ჯიხური. ზუკო ფანჯრიდან ხტება, მინის გამაყრუებელი მსხვრევის ხმა. ყვირილი შიგნით. თავშეყრა კართან.*

ზუკო.

„აი, ამგვარად შევიქმენი ძლევამოსილი.

ბრაზი მავსებს უსაზღვრო დღეს შენი.

ო, ზღვაო, დიადი ვარ ჩემს ღვთიურ კვარცხლბეკზე

მთელი შენი სიდიადე ამაოდ იბრძვის ჩემს ფერხთით.

შიშველი, ძლიერი, შთანთქმული შუბლი ნისლის მორევში.“<sup>1</sup>

მეძავი — ვითოშებით. ეს ბიჭი სადაცაა მოკვდება.

ბიჭუნა — ნუ ღელავთ მის გამო. ოფლი სდის, შინაგანად საკმაოდ უნდა სცხელოდეს.

ზუკო.

„ხმაურის, სეტყვისა და ზღვის ქაფის,

ქარისა და ლამის ჭიდილში გახვეული,

წყვილიად ეთერისკენ აღვმართავ მკლავებს.“<sup>2</sup>

ვიღაც ბიჭი — გაღეშილია ეს ტიპი.

ვიღაც ბიჭი — შეუძლებელია. არაფერი დაუღევია.

მეძავი — შეშლილია, მეტი არაფერი. ჯობია თავისთვის დავტოვოთ.

ზორბა მამაკაცი — თავისთვის დავტოვოთ? უკვე რამდენიმე საათია შეგვცა და მშვიდად დავტოვოთ? კიდევ ერთხელ გამომიწვევს და სიფათს გავუერთიანებ.

მეძავი (*ზუკოს უახლოვდება რომ წამოაყენოს*) — შარს ნულარ ეძებ ბიჭუნა, ნულარ. შენი ლამაზი სიფათი უკვე კარგად შელამაზდა. გინდა რომ გოგოებმა შენსკენ აღარც კი გამოიხედონ? სიფათი ფაქიზი რამეა, საყვარელო. გვგონია, რომ მთელი ცხოვრება გვექნება და უცებ, ერთი დიდი რეგენი მიგიქეჭყავს, რომელსაც

<sup>1</sup> ციტატა ვიქტორ ჰიუგოს პოეზიის კრებულიდან - „საუკუნოთა ლეგენდა“ (თარგმანი - ჩემივე)

<sup>2</sup> *Idem.*

თავისი სიფათის გამო არაფერია აქვს დასაკარგი. შენ კი ბევრი გაქვს დასაკარგი, საყვარელო. ერთხელ აგეხევა ეგ სიფათი და წასულია შენი საქმე, ისე თითქოს რიგიდან მოგხსნესო. შენ ამაზე ადრე არ გიფიქრია, მაგრამ, პირობას გაძლევ, მერე იფიქრებ. ნუ მიყურებ ასე, თორემ ვიტყვებ; შენ იმ კატეგორიას ეკუთვნი, ვის შეხედვაზეც კი ტირილი გინდება.

*ზუკო ზორბა მამაკაცს უახლოვდება და მუშტს გაუქანებს.*

მეძავი — აღარ წამოიწყებენ.

ზორბა მამაკაცი — ნუ მიწვევ პატარა, ნუ.

*ზუკო მეორეჯერ გაუქანებს მუშტს. ზორბა მამაკაცი პასუხს უბრუნებს. ისინი ჩხუბობენ.*

მეძავი — ძაღლებს დავუძახებ. ის მას მოკლავს.

ვიღაც ბიჭი — არანაირი ძაღლებთან დარეკვა.

ვიღაც ბიჭი — ყოველ შემთხვევაში, ის უკვე მიწაზეა გართხმული.

*ზუკო დგება და ზორბა მამაკაცს მისდევს, რომელიც უკვე მიდის. მას უახლოვდება და სახეში ურტყამს.*

მეძავი — ნულარ შემოუბრუნებ, დაანებე თავი, ფეხზე ვეღარ დგას.

ზუკო — იჩხუბე, შე ლაჩარო, მხდალო, უტრაკო!

ზორბა მამაკაცი მას ჰაერში ისვრის.

ზორბა მამაკაცი — ერთხელ კიდევ გაიმეორებს და კოლოსავით გავსრეს მაგას.

*ზუკო კიდევ წამოდგება საჩხუბრად.*

მეძავი (*ზორბა მამაკაცს*) — არ შეეხო, არ შეეხო, ნუ ურტყამ.

*ზორბა მამაკაცი ერთი დარტყმით დააგდებს.*

ვილაც ბიჭი — მისასვათა ეს ბიჭი.

მეძავი — ეს ადვილი იყო. მართალი იყო რომ თქვა, ლაჩრები ხართ.

ზორბა მამაკაცი — ერთი და იგივე ძაღლს არასდროს უნდა აკბებინო კაცზე ორჯერ.

*ისინი ბარში შედიან. ზუკო წამოდგება და ჯიხურს უახლოვდება. ის ყურმილს იღებს, კრეფს ნომერს და ელოდება.*

ზუკო — წასვლა მინდა. ახლავე უნდა გავემგზავრო. ძალიან ცხელა ამ წყეულ ქალაქში. აფრიკაში მინდა წასვლა, თოვლში. უნდა გავემგზავრო, თორემ მოვკვდები. ყოველშემთხვევაში, არავის არავინ ადარდებს. არავის. კაცებს ქალები სჭირდებათ, ქალებს - კაცები. სიყვარული კი, აქ არაფერ შუაშია. აი მე, ქალებთან მხოლოდ სიბრალულის გამო მიდგება. მირჩევნია ძაღლად დავიბადო, რომ ნაკლებ უბედური ვიყო. ქუჩის მაწანწალად, ნაგვის ბუნკერების მქეჩავად; ვერავინ შემამჩნევდა. ვისურვებდი, ახალგაზრდა ძაღლი ვყოფილიყავი, ქეცი მჭამდეს, არავინ მაქცევდეს ყურადღებას, ისე გამირბოდეს. ვისურვებდი რომ ნაგავში ვიქეჩებოდე სამუდამოდ. მგონია, არც სიტყვებია საჭირო, არაფერია სათქმელი. უნდა დაიხუროს სკოლები და გავაფართოვოთ სასაფლაოები. ყველა ვარიანტში, ერთი წელი, ასი წელი, ერთი და იგივეა, ადრე თუ გვიან ყველა მოვკვდებით, ყველა. და ეს კი ჩიტებს ააჟღურტულებს, გაამხიარულებს.

მეძავი *(ბარის კართან)* — გითხარით, რომ ის შეშლილია. ტელეფონში ლაპარაკობს, რომელიც არ მუშაობს.

*ზუკო ყურმილს უშვებს ხელს, ჯიხურს ეყრდნობა. ზორბა მამაკაცი უახლოვდება ზუკოს.*

ზორბა მამაკაცი — რაზე ფიქრობ, პატარავ?

ზუკო — კიბორჩხალას, ლოკოკინასა და ხოჭოს უკვდავებაზე ვოცნებობ.

ზორბა მამაკაცი — იცი, მე პირადად, ჩხუბი არ მიყვარს. მაგრამ შენ ისე გამომიწვიე პატარავ, რომ შეუძლებელია მოითმინო და პასუხი არ გაგცე. რატო ეძებ ესე აყალ-მაყალს? კაცი იფიქრებს, სიკვდილი გინდა.

ზუკო — მე არ მინდა სიკვდილი. მე მალე მოვკვდები.

ზორბა მამაკაცი — როგორც ყველა, პატარავ.

ზუკო — ეს საკმარისი მიზეზი არაა.

ზორბა მამაკაცი — შესაძლოა.

ზუკო — ერთადერთი პრობლემა კუბოსთან დაკავშირებით, ისაა რომ არ ვყიდულობთ, მხოლოდ ვქირაობთ. უნდა წავიდე, გადავაფსა.

ზორბა მამაკაცი — წადი სანამ გვიანი არაა.

ზუკო — მართალია, რომ ძაღლებიც კი აღმაცერად შემომხედავენ?

ზორბა მამაკაცი — ძაღლები არასდროს არავის უყურებენ აღმაცერად. ისინი ერთადერთი არსებები არიან, რომლებსაც შეგიძლია ენდო. მათ ან უყვარხარ, ან არა, მაგრამ არასდროს განგსჯიან. და როცა ყველა მიგაგდებს, პატარავ, მხოლოდ ძაღლი თუ წაგათრევს აქედან, რომ ფეხის გული აგილოკოს.

ზუკო —

„Morte villana, di pietà nemica,

Di dolor madre antica,

Giudicio incontastabile gravoso,

Di te blasmar la lingua s'affatica.”<sup>3</sup>

ზორბა მამაკაცი — წადი, გადააფსი.

ზუკო — ძალიან გვიანია.

*ორიჟრაჟებს. ზუკოს ჩაეძინება.*

---

<sup>3</sup> ზუკო წარმოთქვამს ნაწყვეტს იტალიურად, დანტე ალიგიერის „ახალი ცხოვრება“ \_დან:

„უღვთო სიკვდილი, სიბრალულის მოსისხლე მტერი,

სატკივართა და სალმობელთა დიდო დედაო,

და საბოლოო განაჩენო უსასტიკესო;

[...] არ დავცხრები მე შენი გმობით,“

თარგმანი - ზაჩანა ბრეგვაძე, თამაზ ჩხენკელი, თბილისი, ნაკადული, 1967.

## IX. დალილა

*პოლიციის განყოფილება. ინსპექტორი, კომისარი. შემოდის ქარაფშუტა გოგო, ძმა ახლავს თან. ეს უკანასკნელი კარის ჩრდილქვეშ რჩება. ქარაფშუტა გოგო ზუკოს პორტრეტისკენ მიიწევს და თითოთ ანიშნებს.*

ქარაფშუტა გოგო — მე ამას ვიცნობ.

კომისარი — რას იცნობ?

ქარაფშუტა გოგო — ამ ბიჭს. ძალიან კარგად ვიცნობ.

ინსპექტორი — ვინ არის?

ქარაფშუტა გოგო — საიდუმლო აგენტი. მეგობარი.

ინსპექტორი — ვინ არის ეს ტიპი შენს უკან?

ქარაფშუტა გოგო — ჩემი ძმა, წამომყვა. ეს მან მითხრა, რომ თქვენთან მოვსულიყავი, რადგან ეს ფოტო ვნახე ქუჩაში.

ინსპექტორი — იცი რომ მას ვეძებთ?

ქარაფშუტა გოგო — კი, მეც ვეძებ მას.

ინსპექტორი — შენ ამბობ რომ მეგობარია?

ქარაფშუტა გოგო — კი, მეგობარია, კი.

ინსპექტორი — პოლიციელის მკვლეელი. შენ დაკვებული იქნები და პასუხისგებაში მიცემული თანამზრახველობისთვის, იარაღის შენახვისთვის და ბოროტმოქმედის არ დასმენისთვის.

ქარაფშუტა გოგო — ეს ჩემმა ძმამ მითხრა, მოვსულიყავი და თქვენთვის მეთქვა, რომ მას ვიცნობდი. მე არაფერს ვმაღავ, არავის ვასმენ, მე მას ვიცნობ, სულ ესაა.

ინსპექტორი — უთხარი შენს ძმას გავიდეს.

კომისარი. — ვერ გაიგონე? გარეთ, შენ!

*ძმა გადის.*

ინსპექტორი — რაიცი მასზე?

ქარაფშუტა გოგო — ყველაფერი.

ინსპექტორი — ფრანგი? უცხოელი?

ქარაფშუტა გოგო — მას ძალიან ცოტათი, ძალიან საყვარელი უცხოური აქცენტი ჰქონდა.

კომისარი — ტევტონური?

ქარაფშუტა გოგო — არვიცი რას ნიშნავს ტევტონური.

ინსპექტორი — მაშასადამე, მან გითხრა რომ საიდუმლო აგენტი იყო. უცნაურია. როგორც წესი, საიდუმლო აგენტი საიდუმლოდ უნდა დარჩეს.

ქარაფშუტა გოგო — მე მას ვუთხარი, რომ ამ საიდუმლოს შევინახავდი რაც არ უნდა მომხდარიყო.

კომისარი — ბრავო. თუ ყველა საიდუმლო ასე იქნა შენახული, ჩვენი საქმე გამარტივებულა.

ქარაფშუტა გოგო — მან მითხრა, რომ რაღაც მისიების შესასრულებლად უნდა წასულიყო აფრიკაში, მთებში, იქ სადაც მუდამ თოვს.

ინსპექტორი — გერმანელი აგენტი კენიაში.

კომისარი — პოლიციის ვარაუდი არც თუ ისე მცდარი ყოფილა, ყველაფერთან ერთად.

ინსპექტორი — ისინი ზუსტი იყო, კომისარო. *(ქარაფშუტა გოგოს:)* ეხლა კი, მისი სახელი. იცი? უნდა იცოდე, რადგან შენი მეგობარი იყო.

ქარაფშუტა გოგო — კი, ვიცი.

კომისარი — თქვი.

ქარაფშუტა გოგო — მშვენივრად ვიცი.

კომისარი — შენ ჩვენ დაგვიცინი, გოგონა. სილის გაწნა ხომ არ გინდა?

ქარაფშუტა გოგო — არ მინდა სილა. ვიცი გვარი, უბრალოდ, თქმას ვერ ვახერხებ.

ინსპექტორი — აი ასე, უბრალოდ ვერ ახერხებ რომ თქვა?

ქარაფშუტა გოგო — აი, ენის წვერზე მადგას.

კომისარი — ენის წვერზე, ენის წვერზე. გინდა სილა გაგაგწნათ, მუშტები დაგიშინოთ და თმა მოგქაჩოთ? იცი, ამისთვის აქ სპეციალურად აღჭურვილი ოთახებიც გვაქვს.

ქარაფშუტა გოგო — არა, არა, თითქმის გამახსენდა, ეხლავე მომაგონდება.

ინსპექტორი — სულ მცირე სახელი მაინც, მშვენივრად უნდა გახსოვდეს ეს, ყურში ჩასჩურჩულეზბდი მაინც.

კომისარი — სახელი, სახელი! ნებისმიერი, თორემ საწამებელ ოთახში წაგათრევ.

ქარაფშუტა გოგო — ანდრეასი.

ინსპექტორი. (*კომისარს*) — ჩაინიშნეთ: ანდრეასი (*ქარაფშუტა გოგოს*) დარწმუნებული ხარ?

ქარაფშუტა გოგო — არა.

კომისარი — მოვკლავ ამას. ამოდერღე ეს წყეული სახელი, თუარადა მე ჩაგთხრი პირში რამეს. ჩქარა, თორემ სამუდამოდ გემახსოვრება ეს.

ქარაფშუტა გოგო — ანჯელო.

ინსპექტორი — ესპანელი.

კომისარი — ან იტალიელი, ბრაზილიელი, პორტუგალიელი, მექსიკელი: ის კიარა ბერლინელს ვიცნობ ერთს, ხულიო ჰქვია.

ინსპექტორი — რაღაცები გაგეგებათ ამაში, კომისარო. (*ქარაფშუტა გოგოს* :) ყელში ამომივიდა.

ქარაფშუტა გოგო — აი, ენის წვერზე მადგას.

კომისარი — გინდა მაქ ტუჩებზე შემოგარტყა, იქნებ მოგადგეს?

ქარაფშუტა გოგო — ანჯელო, ანჯელო, დოლჩე თუ რაღაც ეგეთი.

ინსპექტორი — დოლჩე? როგორც ტკბილი?<sup>4</sup>

ქარაფშუტა გოგო — ტკბილი კი. მან მითხრა, რომ მისი გვარი უცხოურ გვარს ჰგავდა, რომელიც ნიშნავს ტკბილს თუ დაშაქრულს. (*ის ტირის*) ის ისეთი ტკბილი იყო, ისეთი თავაზიანი.

---

<sup>4</sup> Dolce-სახელი „ტკბილს“ ნიშნავს იტალიურად, ამასთან სიტყვათა თამაშს აქვს ადგილი, ფრანგულ ზედსართავთან- doux (თბილი, ტკბილი)

ინსპექტორი – უამრავი სიტყვაა, რომელიც დაშაქრულს ნიშნავს, ვგონებ.

კომისარი – Azucarado, zuccherato, sweetened, gezuckert, ocukrzony.

ინსპექტორი – შესანიშნავად ვიცი ეს ყველაფერი, კომისარო.

ქარაფშუტა გოგო – ზუკო, ზუკო, რობერტო ზუკო.

ინსპექტორი – დარწმუნებული ხარ?

ქარაფშუტა გოგო – დანამდვილებით, დარწმუნებული ვარ.

კომისარი – ზუკო. ზ\_თი?

ქარაფშუტა გოგო – ზ\_თი, კი. რობერტო. ზ\_თი.

ინსპექტორი – გაყევით მას, რომ განაცხადი გააკეთოს.

ქარაფშუტა გოგო – და ჩემი ძმა?

კომისარი – შენი ძმა? რომელი ძმა? რაში გჭირდება ძმა? ჩვენ ხომ აქ ვართ.

*ისინი გადიან.*



## X. მძევალი

*საზოგადოებრივ ბაღში, დღისით. გრძელ სკამზე მჯდარი ელეგანტური ქალბატონი. შემოდის ზუკო.*

ქალბატონი — დარბრძანდით ჩემს გვერდით. მელაპარაკეთ. ვიწყენ; ვისაუბროთ. მძულს საზოგადოებრივი ბაღები. მშვიდი იერი გაქვთ. ხომ არ გაშინებთ?

ზუკო — მე არ ვარ მშვიდი.

ქალბატონი — თუმცა, თქვენი ხელები ისე თრთიან როგორც პატარა ბიჭის, თავისი პირველი გოგოს წინაშე. სანდომიანი სახე გაქვთ. მშვენიერი ბიჭუნა ხართ. გიყვართ ქალები? მშვენიერი ყმაწვილი ხართ იმისთვის, რომ ქალები გიყვარდეთ.

ზუკო — მიყვარს ქალები, დიახ, ძალიან.

ქალბატონი — ალბათ, ესე თვრამეტიოდე წლის გოგონები გეყვარებათ.

ზუკო — ყველა ქალი მიყვარს.

ქალბატონი — ეს ძალიან კარგია. გიუხეშიათ ოდესმე ქალთან?

ზუკო — არასდროს.

ქალბატონი — მაგრამ სურვილი გქონიათ? ერთხელ მაინც უნდა გნდომებოდათ უკვე, გეძალადათ ქალზე, არა? ეს ისეთი სურვილია, რომ ადრე თუ გვიან ყველა მამაკაცს უჩნდება, ყველას.

ზუკო — მე არა. მე წყნარი და მშვიდობისმოყვარული ვარ.

ქალბატონი — უჩვეულო ტიპი ხართ.

ზუკო — ტაქსით მოხვედით?

ქალბატონი — ოჰ, არა. ვერ ვიტან ტაქსის მძღოლებს.

ზუკო — მაშ, მანქანით მოხვედით?

ქალბატონი — ცხადია. ფეხით არ მოვსულვარ; ქალაქის მეორე განაპირას ვცხოვრობ.

ზუკო — მანქანა რა მარკისაა?

ქალბატონი — თქვენ ალბათ იფიქრეთ, რომ პორშე მყავდა? არაფერიც, მე მხოლოდ ერთი პატარა უბრალო მანქანა მყავს. ჩემი ქმარი კრიჟანია.

ზუკო — რა მარკაა?

ქალბატონი — მერსედესი.

ზუკო — რომელი?

ქალბატონი — 280 SE.

ზუკო — ეს სულაც არაა პატარა უბრალო მანქანა.

ქალბატონი — შესაძლოა არც. მაგრამ ჩემი ქმარი მაინც კრიჟანი ვინმეა.

ზუკო — ვინ არის ეს ტიპი? გამუდმებით გიყურებთ.

ქალბატონი — ეს ჩემი ბიჭია.

ზუკო — თქვენი ბიჭი? ის ხომ დიდია.

ქალბატონი — თოთხმეტი წლისაა, არც მეტი არც ნაკლები. მე გადარძმებული სულაც არ ვარ.

ზუკო — მას უფრო დიდის შეხედულება აქვს. სპორტს მისდევს?

ქალბატონი — მხოლოდ ამითაა დაკავებული. ქალაქის ყველა სპორტდარბაზისთვის ვუხდი ფულს, ყველა საჩოგბურთო, ჰოკეისა თუ გოლფის მოედნისთვის; ამის გამო, ერთგვარად მაიძულებს ყველა ვარჯიშზე გავყვე. პატარა ცინგლიანია.

ზუკო — ძლიერად გამოიყურება თავისი ასაკის კვალობაზე. მომეცით თქვენი მანქანის გასაღები.

ქალბატონი — რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა. ჩემი მანქანაც ხომ არ გნებავთ შემთხვევით?!

ზუკო — კი, მინდა მანქანა.

ქალბატონი — წაიყვანეთ.

ზუკო — მომეცით გასაღები.

ქალბატონი — ნერვებს მიშლით.

ზუკო — მომეცით გასაღები. *(ის იღებს პისტოლეტს და საკუთარ მუხლებზე იდებს.)*

ქალბატონი — შეშლილი ხართ. ასეთი ნივთებით არ თამაშობენ.

ზუკო – დაუძახეთ თქვენს შვილს.

ქალბატონი – არავითარ შემთხვევაში.

ზუკო. *(ემუქრება რა მას იარაღით)* – დაუძახეთ თქვენს ბიჭს.

ქალბატონი. – არანორმალური ხართ. *(თან თავის ბიჭს უყვირის:)* თავს უშველე. დაბრუნდი სახლში. შენთვის მთელი რამე.

*ბიჭი ახლოვდება, ქალი დგება, ზუკო პირში უღებს მას იარაღს.*

ქალბატონი. – ისროლე მიდი, იდიოტო. გასაღებს მაინც არ მოგცემთ, მხოლოდ იმიტომ რომ იდიოტად მთვლით. ჩემი ქმარი იდიოტად მთვლის, ჩემი შვილი იდიოტად მთვლის, მოსამსახურე ქალი იდიოტად მთვლის, შეგიძლიათ ისროლოთ, ერთით ნაკლები იდიოტი დარჩება. მაგრამ გასაღებს მაინც არ მოგცემთ. მით უარესი თქვენთვის, რადგან ეს საუცხოო მანქანაა, ტყავის სავარძლებითა და კაკლის ხისგან დამზადებული ბორტით. მით უარესი თქვენთვის. შეწყვიტეთ სკანდალის მოწყობა. შეხედეთ: ეს იდიოტები ახლოვდებიან, რეპლიკებს ისვრიან, პოლიციას დაურეკავენ. შეხედეთ: უკვე კბილებს ილესენ. ისინი გიჟდებიან ამაზე. ვერ ვიტან ამ ხალხის რეპლიკებს. დაე, ისროლეთ. არ მინდა მათი გაგონება, არ მინდა რომ მესმოდეს!

ზუკო *(ბავშვს მიმართავს)* – არ მოხვიდე.

ვილაც მამაკაცი – შეხედეთ როგორ ცახცახებს.

ზუკო – ღვთის გულისთვის, არ მოგვიახლოვდე. მიწაზე დაწევი.

ქალი – ბავშვიც კი აშინებს.

ზუკო – ეხლა კი, ხელები ჩამოუშვი გვერდებზე. მომიახლოვდი.

ქალი – მაგრამ, როგორ წარმოგიდგენია, გვერდებზე ხელებდაწყობილმა რანაირად იხიხოს?

ვილაც მამაკაცი – ეს შესაძლებელია, შესაძლებელია. მე, პირადად, ვახერხებ.

ზუკო – წყნარად. ხელები ზურგზე. თავი არ ასწიო. გაჩერდი. *(ბავშვი გამომძრავდება)* გაშეშდი, თორემ დედაშენს მოვკლავ.

ვილაც მამაკაცი – ჩამდენია.

ქალი – რა საკვირველია. იზამს ამას. საბრალო ბიჭუნა.

ზუკო — დაიფიცე, რომ არ გაინძრევი.

ბავშვი — გეფიცები.

ზუკო — თავი კარგად დადე მიწაზე. წყნარად გადაბრუნდი, ისე რომ თავი სხვა მხარეს გქონდეს. მიბრუნდი, არ მინდა, რომ ჩვენი დანახვა შეგეძლოს.

ბავშვი — რატომ გეშინიათ ჩემი? არაფრის გაკეთება არ შემიძლია. მე ბავშვი ვარ. არ მინდა რომ დედაჩემი მოკლან. ჩემი რატომ უნდა გეშინოდეთ, თქვენ ბევრად უფრო ძლიერი ხართ ვიდრე მე.

ზუკო — კი, მე უფრო ძლიერი ვარ ვიდრე შენ.

ბავშვი — მაშინ რატომ გეშინიათ ჩემი? მე რა უნდა დაგიშავოთ? მე სულმთლად პატარა ვარ.

ზუკო — შენ არც ისეთი პატარა ხარ, და მე კი, არ მეშინია.

ბავშვი — არაფერიც, თქვენ ცახცახებთ, ცახცახებთ. მშვენივრად ვხედავ, როგორც ცახცახებთ.

ვიღაც მამაკაცი — აი პოლიციელებიც.

ქალი — ახლა კი ნამდვილად გექნებათ ცახცახის მიზეზი.

ვიღაც მამაკაცი — ახლა ვიცინებთ, ახლა ვიცინებთ.

ზუკო (*ბავშვს მიმართავს*) — დახუჭე თვალები.

ბავშვი — ისინი დახუჭულია. დახუჭული. ღმერთო ჩემო, თქვენ ლაჩარი ხართ.

ზუკო — პირიც დახურე.

ბავშვი — ვხურავ, კარგი. მაგრამ შენ ლაჩარი ხარ. შენ ხომ ქალს აშინებ. ქალს ემუქრები მაგ შენი თოფით.

ზუკო — რა არის დედაშენის მანქანა?

ბავშვი — პორშე, დიდი ალბათობით.

ზუკო — გაჩუმდი. მოკეტე. ენას კბილი დააჭირე. თვალები დახუჭე. სუნთქი არ გაიღო.

ბავშვი — არ ვიცი, როგორ არ უნდა გავიღო სუნთქი.

ზუკო — ახლავე გეცოდინება. მოვკლავ დედაშენს და ნახავ, რაცაა.

ვიღაც ქალი — საბრალო ბიჭუნა.

ბავშვი — სუნთქს არ გავიღებ, სუნთქს არ გავიღებ.

ვიღაც მამაკაცი — პოლიციელები არ უახლოვდებიან.

ვიღაც ქალი — შიშისგან იფსამენ.

ვიღაც მამაკაცი — სულაც არა. ეს სტრატეგიაა. მათ იციან, რასაც აკეთებენ. მათ ხერხები აქვთ, რაც არვიცი. მაგრამ მათ იციან, რასაც აკეთებენ, დამიჯერე. ეს ტიპი ტრუპია.

ვიღაც მამაკაცი — ისევე როგორც ქალი, წყალი არ გაუვა.

ვიღაც მამაკაცი — ომლეტს ისე ვერ გააკეთებ, თუ კვერცხები არ გატეხე.

ვიღაც ქალი — ოღონდ ბიჭუნას ნუ შეეხება, ოღონდ მას არა, ღმერთო დიდებულო.

*ზუკო ქალს წინ მიათრევს და ბავშვს უახლოვდება, იარაღი კვლავ მის ყელზე აქვს მიბჯენილი. შემდეგ კი, ფეხს ბავშვის თავზე დებს.*

ვიღაც ქალი — ო, ღმერთო ჩემო, ჩვენს დროში ბავშვები საოცარი ამბების მომსწრენი არიან.

ვიღაც მამაკაცი — არც ჩვენ გვინხავს ნაკლები, როცა ბავშვები ვიყავით.

ვიღაც ქალი — ნუთუ თქვენც ვინმე შეშლილი დაგემუქრათ?

ვიღაც მამაკაცი — ომი ქალბატონო, ომი დაგავიწყდათ?

ვიღაც ქალი — რას ამბობთ, ნუთუ გერმანელებმა ფეხი შემოგადოთ პირდაპირ თავზე და დედათქვენს ემუქრებოდნენ?

ვიღაც მამაკაცი — ამაზე უარესი ქალბატონო, ამაზე უარესი.

ვიღაც ქალი — ყოველშემთხვევაში, თქვენ აქ ხართ, ცოცხალი და საღ-სალამათი, მშვენივრად დაბერებული და გვარიანად ჩასუქებული.

ვიღაც მამაკაცი — თქვენ უხეში ხართ, ქალბატონო.

ვიღაც ქალი — მე მხოლოდ ბავშვზე ვფიქრობ, მხოლოდ ბავშვზე.

ვიღაც მამაკაცი — ბოლოსდაბოლოს, ნუ გააწყალეთ ამ ბავშვით. ეს ქალს აქვს იარაღი პირში ჩათხრილი.

ვიღაც ქალი — კი, მაგრამ სწორედ ბავშვი დაიტანჯება.

ვიღაც ქალი – მაშ გვითხარით, ბატონო, ამას ეძახით პოლიციელების სპეციალურ ტაქტიკას თქვენ? ტაქტიკაზე საუბრობდით. ისინი კი ქვეყნის მეორე დასალიერში დგანან. შიშისგან იფსამენ.

ვიღაც მამაკაცი – მე ვთქვი, რომ ეს სტრატეგიაა.

ვიღაც მამაკაცი – სტრატეგია არა ჩემი ფეხები!

პოლიციელები (*შორიდან*) – იარაღს გაუშვით ხელი.

ვიღაც ქალი – ბრავო.

ვიღაც ქალი – პრაქტიკულად გადავრჩით.

ვიღაც მამაკაცი – წმინდა წყლის სტრატეგია.

ვიღაც მამაკაცი – ისინი სროლისთვის ემზადებიან, გეუბნებით.

ვიღაც ქალი – მე პირადად, მხოლოდ ამ ტიპს ვხედავ, ვინც სროლისთვის ემზადება.

ვიღაც მამაკაცი – სხვათაშორის, სროლა პრაქტიკულად განხორციელებულია.

ვიღაც ქალი – საბრლო ბიჭუნა.

ვიღაც მამაკაცი – ქალბატონო, თუ კიდევ გააგრძელებთ ამ ბიჭუნაზე საუბარს, სილას გაგარტყამთ.

ვიღაც მამაკაცი – როგორ ფიქრობთ, ეხლა კამათის დროა? ღვთის გულისთვის. ჩვენ ხომ დრამის მომსწრეები ვართ. სიკვდილს ვუყურებთ პრაქტიკულად.

პოლიციელები (*შორიდან*) – გიბრძანებთ, რომ იარაღს გაუშვათ ხელი. თქვენ ალყაში ხართ. (*გარშემომყოფებს სიცილი წასკდებათ.*)

ზუკო – უთხარით მას, რომ მანქანის გასაღები მომცეს. ეს პორშეა.

ქალბატონი – კრეტინო.

ვიღაც ქალი – მიეცი გასაღები, მიეცი.

ქალბატონი – არასოდეს. მხოლოდ იმ შემხვევაში თუ თვითონ წამართმევს.

ვიღაც მამაკაცი – ის თქვენ სახეს აგადრობთ, პატარა ქალბატონო.

ქალბატონი – მით უკეთესი. თქვენს სიფათებს აღარ დავინახავ. მით უკეთესი.

ვილაც ქალი — ეს ქალი საშინელი ვინმეა.

ვილაც მამაკაცი — ის ბოროტია. იმდენი ბოროტი და სასტიკი ადამიანი დაიარება.

ვილაც ქალი — ძალით წაართვით გასაღები. კაციშვილი არ მოიძებნება, რომ ჯიბეები მოუჩხრიკოს და გასაღები აიღოს?

ვილაც ქალი — ეი თქვენ, ამდენი ტანჯვა რომ გაიარეთ, ბალღობისას, თქვენ, რომელსაც გერმანელებმა თავზე შემოგადეს ფეხი და დედათქვენს ემუქრებოდნენ, მიდით, აჩვენეთ, რომ რამის ტრაკი გაქვთ, სულ მცირე გამბედაობა თუ დაგრჩათ რაიმე, აჩვენეთ! თუნდაც ერთი მისხალი, თუნდაც ძალადაცლილი.

ვილაც მამაკაცი — ქალბატონო, თქვენ სილის გაწნას იმსახურებთ. გაგიმართლათ, რომ მაღალი საზოგადოების წრიდან ვარ.

ვილაც ქალი — მაშინ, მოჩხრიკეთ მისი ჯიბეები, გასაღები აიღეთ და მერე გამარტყით სილა.

*მამაკაცი ცახცახით ახლოვდება, ხელს იშვერს და ქალბატონის ჯიბეში იჩხრიკება, იქიდან გასაღებს ამოაძვრენს.*

ქალბატონი — კრეტინო.

ვილაც მამაკაცი (*გამარჯვებულის იერით*) — დაინახეთ? დაინახეთ? ამ პორშეს აქამდე მოიყვანენ. (*ქალბატონი იცინის.*)

ვილაც ქალი — ის იცინის. როგორ შეუძლია იცინოს, როცა მისი შვილი სადაცაა მოკვდება.

ქალბატონი — რა საშინელებაა.

ვილაც კაცი — ეს ქალი შეშლილია.

ვილაც კაცი — მიეცით გასაღები პოლიციელებს. სხვა რომ არაფერი, თვითონ მიხედავენ ამ ამბავს. იმედი მაქვს, მანქანის მართვა მაინც იციან.

*მამაკაცი სირბილით ბრუნდება.*

ვილაც მამაკაცი — ეს პორშე არაა. მერსედესია.

ვილაც მამაკაცი — რა მოდელი?

ვილაც მამაკაცი — 280 SE, მგონი. ძალიან ლამაზია.

ვილაც მამაკაცი — მერსედესი, შესანიშნავი მანქანაა.

ვილაც ქალი — კი მაგრამ, რა მარკაც არ უნდა იყოს, მიუყვანეთ ბოლბოსდაბოლოს. სადაცაა ყველას დახოცავს.

ზუკო — მე პორშე მინდა. არ მინდა, რომ აბუჩად ამიგდონ.

ვილაც ქალი — სთხოვეთ პოლიციელებს, რომ პორშე იპოვონ. არ იკამათოთ, რადგან ის შემლილია, გადარეული. საჭიროა, რომ პორშე ვუპოვოთ.

ვილაც მამაკაცი — აი, ამის გაკეთება მაინც ეცოდინებათ, პოლიციელებს.

ვილაც მამაკაცი — მიდით გაარკვიეთ. ისინი მოშორებით რჩებიან.

*პოლიციელებსკენ მიდიან.*

ვილაც მამაკაცი — შემოგვხედეთ ჩვენ, საზოგადოების სხვა ადამიანებს. ჩვენ უფრო მამაცები ვართ ვიდრე ისინი.

ვილაც ქალი (*ბავშვის მისამართით*) — საბრალო პატარა. ნუთუ ეს ბოროტი ფეხი არაფერს გავნებს?

ზუკო — გაჩუმდით. არ მინდა, რომ მას ელაპარაკოთ. არ მინდა რომ პირი გააღოს. ეი, შენ, თვალები დახუჭე. არ გაინძრე.

ვილაც მამაკაცი — და თქვენ ქალბატონო? თავს როგორ გრძნობთ?

ქალბატონი — არამიშავს, გმადლობთ, არამიშავს. თუმცა, გაცილებით უკეთ ვიგრძნობდი თავს თუ მოკეტავდით, თქვენს სამზარეულოებში დაბრუნდებოდით და თქვენი ლაწირაკების ზრუნვით დაკავდებოდით.

ვილაც ქალი — ის უხეშია, უხეში.

პოლიციელი (*შეჯგუფებულთა მეორე მხრიდან*) — აი მანქანის გასაღები. ეს პორშეა. აი ისიც. შეგიძლიათ აქედან დაინახოთ ის. (*ხალხს მიმართავს:*) მიაწოდეთ გასაღები.

ვილაც მამაკაცი — თქვენთვის თონვე მიეცით. ეს თქვენი პროფესიაა, მკვლელებო.

პოლიციელი — ჩვენ ჩვენი მიზეზები გვაქვს.



ვილაც ქალი — მიზეზი არა ჩემი ფეხები.

ვილაც მამაკაცი — მე პირადად, თითოსაც კი არ დავადებ ამ გასაღებს. ეს ჩემი სამუშაო არაა. ცოლ-შვილიანი კაცი ვარ.

ზუკო — ახლავე მოვკლავ ქალს და თავში ტყვიას დავიხლი. ყველაფერი ფეხებზე მკიდია. გეფიცებით, არაფერი დამაკავებს. ექვსი ტყვიაა მჭიდში. ხუთ ადამიანს გავისტუმრებ და შემდეგ მე მოვიკლავ თავს.

ვილაც ქალი — იზამს ამას. გააკეთებს. წავედით.

პოლიციელი — არ გაინძრეთ. თქვენ მას გააღიზიანებთ.

ვილაც მამაკაცი — ეს თქვენ გვაღიზიანებთ, რომ არაფერს აკეთებთ.

ვილაც მამაკაცი — ნუ შეაწუხებთ მათ. აცადეთ იმოქმედონ. მათ გეგმა აქვთ, უეჭველად.

პოლიციელი — არ გაინძრეთ. *(ის გასაღებს მიწაზე დებს და ჯოხით აგდებს ხალხის ფეხებშორის, ზუკოს ფეხებამდე. ზუკო მშვიდად იხრება, იღებს გასაღებს და ჯიბეში იღებს.)*

ზუკო — ქალს თან წავიყვან. გზა მომეცით.

ვილაც ქალი — ბავშვი გადარჩა. მადლობა ღმერთს.

ვილაც მამაკაცი — და ქალი? მას რა ბედი ეწევა, მას?

ზუკო — გაიწიეთ.

*ყველა იწევა. ზუკო იხრება, ხელში იარაღი უჭირავს, ბავშვის თავს თმებით მოქაჩავს და საფეთქელში ტყვიას ახლის. ყვირილი, გაქცევა. ზუკო ხელში იარაღით, ქალის პირს დამიზნებული, თითქმის უკაცრიელ პარკში, მანქანისკენ მიემართება.*

## XI. გარიგება

*სასტუმრო “პატარა ჩიკაგოს“ მისაღებში. სავარძელში მჯდარი მეპატრონე, ქარაფშუტა გოგო კი იცდის.*

ქარაფშუტა გოგო — მე მახინჯი ვარ.

მეპატრონე — სისულელეებს ნუ ამბობ, იხვო.

ქარაფშუტა გოგო — მე მსუქანი ვარ, დაბაბი მაქვს, მუცელზე ორი ნაკეცი, ძუძუები თითქოს ფეხბურთის ბურთი იყოს, და რაც შეეხება დუნდულებს, კიდევ კარგი, რომ ჩვენს უკანაა, ასე ვერ ვხედავთ. მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ისინი ორ ლორს უფრო ჩამოჰგავს, რომლებიც თითო ნაბიჯის გადადგმაზე თანთალებენ.

მეპატრონე. — არ გინდა გაჩუმდე, შე სულელიო.

ქარაფშუტა გოგო — დარწმუნებული ვარ ამაში, დარწმუნებული; მშვენივრად ვხედავ, ქუჩაში როგორ მომყვებიან ენაგადმოვადებული ძაღლები, რომელთაც დრუნჩიდან დორბლი სდით. თუ მას ნებას მივცემ, შიგნეულობას ისე გადასანსლავენ, როგორც ვიტრინაში გამოფენილ ძეხვეულს.

მეპატრონე — კი მაგრამ, საიდან მოიტანე ეს, ჭუკო? შენ ლამაზი ხარ, მრგვალი, ჩამრგვალებული, ფორმებიანი. შენ რა გგონია, რომ კაცებს გამხმარი ხის ტოტები უყვართ, რომელთა ხელში ადებისას იმის ეშინია რომ არ გადატყდეს? მათ უყვართ ფორმები, პატარავ, მათ უყვართ ისეთი ფორმები, ხელი რომ კარგად ეკიდება.

ქარაფშუტა გოგო — ვისურვებდი, რომ გამხდარი ვიყო. ვიქნებოდი გამხმარი ხის ტოტი, რომლის გადატეხვისაც ეშინიათ.

მეპატრონე — აი მე კი - არა. თანაც, დღეს შენ ჩამრგვლებული ხარ, ხვალ კი შეგიძლია გამხდარი იყო. ქალი იცვლება ცხორების მანძილზე. ამაზე ზრუნვა კი არ სჭირდება. როცა შენხელა გოგო ვიყავი, ისეთი გამხდარი ვიყავი, ლანდი გამდიოდა, ნამდვილი ძვალი და ტყავი. მკერდიც კი არ მქონდა გამოკვეთილი. მთლად ფიცარი, როგორც ბიჭი. ეს მაცეცხლებდა, რადგან იმ დროისთვის ბიჭები

არ მიყვარდა. ვოცნებობდი, რომ ჩავმრგვალებულიყავი, ვოცნებობდი მქონოდა ლამაზი ძუძუები. ამიტომ, მკერდს ჩემივე გამოჭრილი მუყაოთი ვიკეთებდი. თუმცა, ბიჭებმა მშვენივრად შეამჩნიეს ეს და ყოველ ჯერზე როცა ჩამივლიდნენ, იდაყვს წამკრავდნენ ძუძუზე და მთლიანად მიჭყლეტდნენ. ბოლოს, მკერდის შიგნით ნემსი დავიმაგრე და საშინელება დატრიალდა, დამიჯერე. ახლა კი, როგორც ხედავ, ყველაფერმა დამრგვალება, შევსება დაიწყო და ძალიან კმაყოფილი ვარ. ეჭვი არ შეგეპაროს ჩემო შოშიავ: დღეს თუ ჩამრგვალებული ხარ, ხვალ შეგიძლია გამხდარი იყო.

ქარაფშუტა გოგო – სულ ერთია. დღეს მე უშნო ვარ, მსუქანი და უბედური.

*შემოდის ძმა, სუტენიორთან საუბარში გართული. ქარაფშუტა გოგოს არც კი იმჩნევენ.*

სუტენიორი (*მოუთმენელი*) – ძალიან ძვირია.

ძმა – ეს შეუფასებელია.

სუტენიორი – ყველაფერს აქვს ფასი, და შენი კი ძალიან მაღალია.

ძმა – როცა რაღაცას ფასს ვადებთ, ეს ნიშნავს რომ ეს რაღაც დიდი ღირებულების არცაა. ანუ, შესაძლოა ვიკამათოთ, დავწიოთ, ავწიოთ ფასი. მე ფასი აბსტრაქტულად დავადე, ვინაიდან ამას ფასი არ აქვს. ისე როგორც პიკასოს ტილოს: გინახავს, ვინმეს ოდესმე ეთქვას, რომ ეს ძალიან ძვირია? ოდესმე გინახავს, რომ პიკასოს ფასი გამყიდველს დაეწია? ფასი, რომელსაც ვადგენთ ამ შემხვევაში აბსტრაქციაა.

სუტენიორი – ამასობაში, ეს აბსტრაქცია იქნება, რომელიც ჩემი ჯიბიდან შენსაში გადაინაცვლებს, და სიცარიელე, რომელიც ჩემს ჯიბეში დაისადგურებს, არც ისეთი აბსტრაქტული იქნება, მგონია.

ძმა – ასეთი სიცარიელე, გაივსება. უცებ შეავსებ, დამიჯერე, და დაივიწყებ ფასს, რომელიც გადაიხადე, უფრო მცირე დროში, ვიდრე მასზე მოლაპარაკებაში დახარჯე. მე არ ვკამათობ. ან აიღე ან არა. წლის საუკეთესო გარიგებას დებ ან რჩები სიღარიბეში.

სუტენიორი – ნუ ნერვიულობ, ნუ ნერვიულობ, ვფიქრობ.

ძმა — იფიქრე, იფიქრე, მაგრამ დიდხანსაც ნუ იფიქრებ. ჩემი და უნდა მივაცილო დედამისთან.

სუტენიორი — კარგი, ვიღებ.

ძმა (*ქრაფშუტ გოგოს*) — ცხვირი გილაპლაპებს, წიწილავ. კეთილი ინებე და პუდრი წაისვი. (*ქრაფშუტა გოგო გადის. ისინი მას თვალს გააყოლებენ.*) აბა, ჩემი პიკასო?

სუტენიორი — მე მაინც მგონია, რომ ძალიან ძვირია.

ძმა — იმდენ ფულს გამოვინებებს, რომ მაგ ფულს სულ დაგავიწყებს.

*ფულის მიცემა.*

სუტენიორი — როდიდან შეძლებს ის?

ძმა — ნუ ნერვიულობ, ნუ ნერვიულობ; ნებისმიერ დროს.

სუტენიორი — არა, არანაირი ნებისმიერი დრო. ფული შენია, მე გოგო მინდა.

ძმა — შენია, შენი, ისე თითქოს, შენ გყავდა ყოველთვის.

სუტენიორი — ახლა როცა ფული შენ გაქვს, ნანობ.

ძმა — არაფერსაც არ ვნანობ, სრულებით. მე ვფიქრობ.

სუტენიორი — რაზე ფიქობ? ფიქრის დრო არაა. მაშ, როდისთვის?

ძმა — ხვალ, ზეგ.

სუტენიორი — დღეს რატომ არა?

ძმა — ხო, რატომაც არა? ამ საღამოს.

სუტენიორი — და რატომ ახლავე არა?

ძმა — ნუ ბრაზდები, ნუ ბრაზდები. (*ქრაფშუტა გოგოს ფეხის ხმა ისმის*) ახლავე, კარგი. (*ძმა გარბის და ოთახში დაიძალევა.*)

*შემოდის ქრაფშუტა გოგო.*

ქრაფშუტა გოგო — სადაა ჩემი ძმა?

სუტენიორი — მან დამავალა, რომ შენთვის მიმეხედა.

ქარაფშუტა გოგო — მინდა ვიცოდე სად არის ჩემი ძმა.

სუტენიორი — აბა, წამომყევი.

ქარაფშუტა გოგო — არ მინდა თქვენთან ერთად წამოსვლა.

მეპატრონე — ახლავე დაემორჩილე, მსუქანო ინდაურო. ძმის ბრძანება წესი და კანონია.

*ქარაფშუტი გოგო და სუტენიორი გადიან. ძმა გამოდის ოთახიდან და მეპატრონის წინ ჯდება.*

ძმა — ეს მე არ მინდოდა ქალბატონო, გეფიცებით. ეს მან დაიჟინა, მისი სურვილი იყო, მოსულიყო ამ კვარტალში და ემუშავა. ის ვიღაცას ეძებს, არვიცი ვის და სურს რომ იპოვოს. ის დარწმუნებულია, რომ აქ იპოვოს. მე, მე არ მინდოდა. მე ყოველთვის ვმეთვალყურეობდი მას ისე, როგორც არცერთ უფროს ძმას არასდროს არ უზრუნია თავის დაზე. ჩემო წიწილა, ჩემო საყვარელო, არასდროს არავინ მყვარებია ისე, როგორც ის მიყვარდა. ველარაფერს ვუშველი. ჩვენ უბედურება დაგვატყდა თავს. ეს მისი სურვილი იყო, მე მხოლოდ მის ნებას დავყევი. არასდროს შემეძლო, არ დავმორჩილებოდი ჩემს პატარა დას. უბედურებამ ამოგვიღო მიზანში და თავს დაგვატყდა. *(ის ტირის).*

მეპატრონე — დიდი ნაგავი ვინმე ხარ.

## XII. მატარებლის სადგური

*რკინიგზის სადგურზე.*

ზუკო — რობერტო ზუკო.

ქალბატონი — რატომ იმეორებთ განუწყვეტლივ ამ გვარს?

ზუკო — იმიტომ რომ მეშინია არ დამავიწყდეს.

ქალბატონი — საკუთარი გვარი არ გვავიწყდება. ეს უკანასკნელი რამაა რაც გვავიწყდება.

ზუკო — არა, არა, მე მავიწყდება. მგონია, კარგადაა ჩაბეჭდილი ჩემს გონებაში და სინამდვილეში კი - უფრო და უფრო ნაკლებ, უფრო და უფრო ნაკლებ ნათლად, თითქოს წაშალესო; საჭიროა, კიდევ უფრო ახლოს შევხედო, რომ მისი ამოკითხვა შევძლო. მეშინია, რომ საკუთარი გვარის ცოდნის გარეშე აღმოვჩნდები.

ქალბატონი — მე არასდროს დამავიწყდება. მე ვიქნები თქვენი მეხსიერება.

ზუკო (*რადაც დროის შემდეგ*) — მიყვარს ქალები. ძალიან მიყვარს ქალები.

ქალბატონი — ისინი არასდროს უყვართ ძალიან.

ზუკო — მე მიყვარს ისინი, მე მიყვარს ისინი, ყველა. არარსებობს საკმარისი ქალებზე საუბრისას.

ქალბატონი — მაშ, თქვენ მე გიყვარვართ.

ზუკო — კი, რა თქმა უნდა, რადგან თქვენ ქალი ხართ.

ქალბატონი — რატომ მომიყვანეთ აქ?

ზუკო — იმიტომ რომ მატარებლით უნდა გავემგზავრო.

ქალბატონი — და პორშე? რატომ პორშეთი არ წახვალთ?

ზუკო — არ მინდა, რომ შემამჩნიონ. მატარებელში არავინ არავის უყურებს.

ქალბატონი — მეც უნდა წამოვიდე თქვენთან ერთად?

ზუკო — არა.

ქალბატონი — რატომაც არა? არანაირი მიზეზი არ მაქვს, რომ თქვენთან ერთად არ წამოვიდე. არანაირი უსიამოვნების შეგრძობა არ მქონია, როცა

დაგინახეთ. თქვენთან ერთად წამოვალ. სხვათაშორის, ეს ისაა რაც თქვენ გსურთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მომკლვადით ან გამიშვებდით ბუნებაში.

ზუკო — მე მჭირდება, რომ ფული მომცეთ მატარებლისთვის. ფული არ მაქვს. დედაჩემს უნდა მოეცა, მაგრამ დაავიწყდა.

ქალბატონი — დედებს ყოველთვის ავიწყდებათ ფულის მოცემა. სად გსურთ წასვლა?

ზუკო — ვენეციაში.

ქალბატონი — ვენეცია? რა უცნაური იდეაა.

ზუკო — იცით ვენეცია?

ქალბატონი — რა თქმა უნდა. ყველამ იცის ვენეცია.

ზუკო — სწორედ იქ დავიბადე.

ქალბატონი — ბრავო. ყოველთვის ვფიქრობდი, რომ არავინ იბადებოდა ვენეციაში, და იქ კვდებოდა ყველა. ჩვილები სულმთლად ჭუჭყიანი და ობობის ქსელით დაფარული იბადებიან. ყოველშემთხვევაში, საფრანგეთმა მშვენივრად გაგასუფთავათ. მტვრის კვალს ვერ ვხედავ. საფრანგეთი შესანიშნავი გამწმენდი საშუალებაა. ბრავო.

ზუკო — უნდა წავიდე აუცილებლად; აუცილებლად უნდა წავიდე. არ მინდა, რომ დამიჭირონ. არ მინდა, რომ გამომამწყვდიონ. გაფიქრებაც კი მზარავს, რომ ამ ხალხის გარემოცვაში აღმოვჩნდე.

ქალბატონი — შიში? კაცი არ ხართ?! თქვენ იარაღი გაქვთ: მხოლოდ მისი ჯიბიდან ამოღებითაც კი დააფრთხოთ მათ.

ზუკო — კაცი რომ ვარ, სწორედ ამიტომ მეშინია.

ქალბატონი — აი მე, არ მეშინია. იმ ყველაფრის შემდეგ, რაც თქვენ მე შემამთხვიეთ, არ მეშინია და არც არასდროს მქონია ეს შეგრძნება.

ზუკო — სწორედ იმიტომ, რომ თქვენ არ ხართ მამაკაცი.

ქალბატონი — ძალიან რთული ადამიანი ხართ, ძალიან.

ზუკო — თუ დამიჭერენ, ჩამკეტენ. თუ გამომამწყვდევენ, ჭკუიდან გადავალ. სხვათაშორის, ჭკუიდან გადავდივარ ეხლა. ირგვლივ პოლიციელებია, ყველგან

ხალხია. უკვე გამომწყვდეული ვარ ამ ხალხს შორის. არ შეხედოთ მათ, არავის არ შეხედოთ.

ქალბატონი — ნუთუ მეტყობა რომ თქვენს დასმენას ვაპირებ? იდიოტო. ამის გაკეთება აქამდეც შემეძლო. ეს ნაბიჭვრები გულს მირევენ. თქვენ უფრო მომწონხართ.

ზუკო — შეხედეთ ყველა ამ შეშლილს. შეხედეთ, როგორი ბოროტი გამოხედვა აქვთ. ისინი მკვლელები არიან. არასდროს მინახავს ერთად ამდენი მკვლელი. მცირედი სიგნალი მაგათ თავში და მომენტალურად ერთმანეთის ჟლეტას დაიწყებენ. ნეტა ეხლა რატომ არ უელვებთ ეს სიგნალი თავში. ისინი, ხომ ყველანი მზად არიან ვინმეს მოსაკლავად. ლაბორატორიის გალიებში გამომწყვდეული ვირთხებივით არიან. სიკვდილი სწყურიათ, მათ თვალებში, მათ მოქმედებაში იკითხება; ვხედავ ჯიბეებში ჩაწყობილ მათ ხელებს, მუშტად შეკრულს. მე მკვლელს ერთი თვალის შევლებით ვცნობ, მათი ტანსაცმელი სისხლით მოთხვრილია. აქ ისინი ყველგან არიან; საჭიროა სიმშვიდე შეინარჩუნო, არ იმოძრაო; თვალებში არ უნდა უყურო. არ უნდა დაგვინახონ; გამჭვირვალეები უნდა ვიყოთ. წინაღმდეგ შემთხვევაში, თუ თვალებში შევხედავთ, თუ ისინი შეამჩნევენ, რომ ვუყურებთ, თუ ჩვენ ყურებას დაიწყებენ და ჩვენ დაგვინახავენ, სიგნალი ჩაირთვება მათ თავში და მოგვკლავენ, დაგვხოცავენ. ერთმაც რომ წამოიწყოს, მერე ყველა ყველას დახოცავს აქ. მხოლოდ ერთი სიგნალი უნდათ თავში.

ქალბატონი — შეწყვიტეთ. შეეშვით ამ ნერვულ შემოტევას. ახლავე ვიყიდი ორივე ბილეთს. თქვენ კი დამშვიდდით, ყურადღებას მივიქცევთ. *(რალაც დროის შემდეგ:)* რატომ მოკალით ის?

ზუკო — ვინ ის?

ქალბატონი — ჩემი ბიჭი, იდიოტო.

ზუკო — იმიტომ, რომ ერთი ცინდლიანი იყო.

ქალბატონი — ეს ვინ გითხრათ?

ზუკო — თქვენ. თქვენ თქვით, რომ ის ერთი ლაწირაკი ცინდლიანი იყო. თქვენ თქვით, რომ იდიოტად გთვლიდათ.



ქალბატონი — და თუ მომწონდა, რომ იდიოტად მთვლიდნენ? და თუ მიყვარს ლაწირაკი ცინდლიანები? და თუ ცინდლიანი ღლაპები უფრო მეტად მიყვარს ვიდრე ყველა დანარჩენი, უფრო მეტად ვიდრე ყველაზე მეტად გამოსირებულები? თუ კი ყველა დანარჩენი მძულდა, ამ ლაწირაკი ცინდლიანების გარდა?

ზუკო — უნდა გეთქვა.

ქალბატონი — გითხარი იდიოტო, გითხარი.

ზუკო — უარი არ უნდა გეთქვა გასაღებებზე. არ უნდა დაგემცირებინე. მისი მოკვლა არ მსურდა, მაგრამ ყველაფერი თავისით მიეწყო ამ პორშეს ამბავის გამო.

ქალბატონი — მატყუარა. არაფერი არ მიწყობილა; ყველაფერი პირიქით მოხდა. თქვენი იარაღით მიზანში მე გყავდით ამოღებული. მაინცდამაინც მას რატომ გაასხმევინეთ ტვინი და სისხლით მორწყეთ იქაურობა?

ზუკო — თქვენი თავი რომ ყოფილიყო, ისიც ისევე მორწყავდა სისხლით იქაურობას.

ქალბატონი — მაგრამ, მე ხომ ამას არ დავინახავდი კრეტინო, არ დავინახავდი. ჩემი სისხლი ფეხებზე მკიდია, ის მე არ მეკუთვნის. აი, ჩემი შვილის კი ჩემი საქმეა, მე მეკუთვნის, ეს მე ვუბოძე მას ამ ოხერ ვენებში, ეს ჩემი გადასწყვეტია, მე მეხება; არ შეიძლება, ჩემი საქმეები ისე წარმართო, როგორც შენ მოგესურვება, საზოგადოებრივ ბაღში, ზედ ბრბოს თვალწინ, კრეტინო. ახლა, აღარაფერი გამაჩნია. ნებისმიერი ადამიანი დააბიჯებს იმ ერთადერთ რამეზე, რაც მე მეკუთვნოდა. ხვალ დილით, მებაღეები გადარეცხავენ. რაღა დამრჩა ეხლა, რაღა?

ზუკო დგება.

ზუკო — მე მივდივარ.

ქალბატონი — მეც თქვენთან ერთად მოვდივარ.

ზუკო — არ გაინძრეთ.

ქალბატონი — ისიც კი არ იცით რომელ მატარებელში ჩაჯდეთ. დროც კი არ მომეცით, რომ მესწავლებინა. არავის აძლევთ დროს, რომ დაგეხმაროთ. დასაკეცი

დანასავით ხართ, რომელიც დრო და დრო იკეცება და რომელსაც თქვენს ჯიბეში აბრუნებთ.

ზუკო — არ მჭირდება, რომ დამეხმარონ.

ქალბატონი — ყველას სჭირდება, რომ დაეხმარონ.

ზუკო — ტირილი არ დაიწყეთ. ისეთი ქალის სახე გაქვთ, რომელიც ეს ესაა ტირილს მორთავს. ეს მე მძულს.

ქალბატონი — თქვენ მითხარით, რომ ქალები გიყვარდათ, ყველა ქალი, მეც კი.

ზუკო — გარდა იმ შემთხვევისა, როცა ისეთ სახეს იღებენ, როცა ეს ესაა ტირილი უნდა დაიწყონ.

ქალბატონი — გეფიცებით, რომ არ ვიტყვებ.

*ქალი ტირის. ზუკო შორდება.*

ქალბატონი — და თქვენი გვარი, კრეტინო? იმის უნარი მაინც შეგწევს, რომ ახლა მაინც მითხრა? ვინ დაიმახსოვრებს ამას თქვენთვის? დარწმუნებული ვარ, უკვე დაგავიწყდა. ახლა, მე ერთადერთი ვარ, რომელსაც ეს ემახსოვრება. თქვენ თქვენი მეხსიერების გარეშე გაემგზავრებით.

*ზუკო გადის. ქალი დამჯდარ მდგომარეობაში რჩება და მატარებლებს უყურებს.*

## XII. ოფელია

*იგივე ადგილი, ღამე. უდაბური რკინიგზის სადგური. წვიმის დაცემის ხმა ისმის. შემოდის და.*

და — სად არის ჩემი მტრედი? რომელ სიბინძურეში ჩაითრიეს? რომელ ბინძურ გალიაში გამოამწყვდიეს? რომელი ცბიერი და ბოროტი ცხოველებითაა გარშემორტყმული? მინდა, რომ გიპოვო, ჩემო გვრიტო, სიკვდილამდე მოგძებნი. (პაუზა). მამრი ყველაზე უფრო გულისამრევი ცხოველია ყველა გულისამრევ ცხოველთა შორის, რომელსაც კი დედამიწა იტევს. მამრს რაღაც სუნი აქვს, რომელიც გულს მირევს. ვირთხები—კანალიზაციაში, ლამში—ღორები, ჭაობის სუნი, სადაც გვამები იხრწნებიან. (პაუზა.) მამრი ბინძურია, მამაკაცები არ სუფთავდებიან, ისინი ჭუჭყსა და მათივე დაგროვილ სეკრეციის გულისამრევ სითხეს ტოვებენ და არ ეხებიან, თითქოს ძალიან ძვირფასი რამ ყოფილიყოს. მამაკაცები ერთმანეთის სუნს ვერ გრძნობენ, რადგან ყველას ერთი და იგივე სუნი ასდით. ამიტომაცაა, რომ ხშირად დაიარებიან ერთმანეთთან და ასევე ბოზებთან, რადგან ბოზები ფულის გამო იტანენ ამ სუნს. რამდენი ვბანე ეს ღლაპი გოგო. რამდენჯერ დამიბანია ვახშამამდე, დილაობით, ზურგი და ხელები ჯაგრისით გამიხეხავს, ფრჩხილებქვეშაც, თმას ყოველდღე ვბანდი, ფრჩხილებს ვაჭრიდი, ყოველ დღე საპნითა და ცხელი წყლით მთლიანად ვბანდი. მტრედივით თეთრი გამოვზარდე, მისი ბუმბული გვრიტის ბუმბულივით გავაპრიალე. მე მას ვპატრონობდი, ყოველთვის სუფთა გალიაში ვიცავდი, იმისთვის რომ მისი შეურყვნელი სიქათქათე არ შებილწულიყო სამყაროს ჭუჭყთან შეხებისას, მამრების ჭუჭყთან, რომ თავადაც არ აყროლებულიყო მათი ჭირის სუნით. და აი, სწორედ მისმა ძმამ, ამ ყველაზე დიდმა ვირთხამ, ამ მყრალმა ღორმა, ამ გახრწნილმა მამრმა შებილწა ის, ლაფში ამოსვარა და თმით ექაჩებოდა მისსავე მძღნერში. უნდა მომეკლა, უნდა მომეწამლა, ხელი უნდა შემეშალა, რომ ჩემი გვრიტის გალიის ირგვლივ არ ეტრიალა. მავთულხლართები უნდა შემომეველო ჩემი სიყვარულის გალიის ირგვლივ. ფეხით უნდა გამესრისა ეს ვირთხა და

ღუმელში დამეწვა. (პაუზა) ყველაფერი ჭუჭყიანია აქ. მთელი ქალაქი ჭუჭყიანია და მამრებით დასახლებული. ნეტავ იწვიმებდეს, კიდევ იწვიმებდეს, რომ წვიმამ ცოტა მაინც გადარეცხოს ჩემი პატარა გვრიტი იმ მძღნერისგან, რომელშიც აღმოჩნდა.

#### XIV. დაპატიმრება

*„პატარა ჩიკაგოს“ კვარტალი. ორი პოლიციელი. ბოზები და მათ შორის ქარაფშუტა გოგო.*

პირველი პოლიციელი – ვინმე დაინახე?

მეორე პოლიციელი – არა, არავინ.

პირველი პოლიციელი – იდიოტობაა. ჩვენი სამუშაო იდიოტობაა. დავყუდებულვართ აქ, როგორც ავტოსაგზაო ნიშნები, რომელიც გეუბნება, როგორ მოუხვიო მოძრაობისას.

მეორე პოლიციელი – ეს ნორმალურია. სწორედ აქ მოკლა მან ინსპექტორი.

პირველი პოლიციელი – ზუსტად. ეს ერთადერთი ადგილია, სადაც ის არ დაბრუნდება.

მეორე პოლიციელი – მკვლელი ყოველთვის ბრუნდება დანაშაულის ადგილას.

პირველი პოლიციელი – ის აქ დამბრუნებელია? რატომ გინდა რომ დაბრუნდეს? არაფერი დარჩენია, არც ბარგი, არაფერი. გიჟი კიარაა. ჩვენ ორი, სრულიად უსარგებლო ავტოსაგზაო აბრა ვართ.

მეორე პოლიციელი – ის დაბრუნდება.

პირველი პოლიციელი – მანამდე კი, შეგვიძლია ერთი ჭიქა დავლიოთ სასტუმროს მეპატრონესთან და გოგოების ამბავზე ვილაპარაკოთ, სხვაგან

ვისეირნოთ, მშვიდ ხალხს შორის, უდარდელად; „პატარა ჩიკაგო“ ყველაზე მშვიდი კვარტალია მთელს ქალაქში.

მეორე პოლიციელი — ეშმაკს არ სძინავს.

პირველი პოლიციელი — ეშმაკს? რომელ ეშმაკს? კი მაგრამ, სად ხედავ ეშმაკს? გოგონებიც კი მოვაჭრე ქალებივით მშვიდები და წყნარები არიან, კლიენტები ისე დასეირნობენ, როგორც საზოგადოებრივ ბაღში; სუტენიორები კი თავიანთ საკუთრებას დასტრიალებენ ირგვლივ, როგორც წიგნის გამყიდველები, რომლებიც თვალყურს ადევნებენ ყველა წიგნი თუ დევს თაროზე, ვაითუ, იქიდან ერთი ხომ არ მოიპარესო. სად ხედავ ეშმაკს კი მაგრამ? ეგ ტიპი აქ აღარ დაბრუნდება, დაგენიძლავები, მეპატრონესთანაც დავნაძლევდები ერთ ჭიქაზე.

მეორე პოლიციელი — მშვენივრად დაბრუნდა სახლში, მას შემდეგ რაც მამამისი მოკლა.

პირველი პოლიციელი — ეს იმიტომ, რომ საქმე ჰქონდა იქ გასაკეთებელი.

მეორე პოლიციელი — და რა საქმე ჰქონდა გასაკეთებელი იქ?

პირველი პოლიციელი — დედამისის მოკვლა. რადგან უკვე ჩაიდინა ეს, აღარ დაბრუნდება. და ვინაიდან არც აქ ჰყავს ინსპექტორი მოსაკლავი, აღარ დაბრუნდება. იდიოტად ვგრძნობ თავს; ვგრძნობ, რომ ფესვები გამომეზარდა, ხელებსა და ფეხებზე კი ფოთლები. ვგრძნობ, რომ ბეტონში ვიფლობი. წავიდეთ, ერთი ჭიქა გადავკრათ მეპატრონესთან. ყველაფერი წყნარადაა; ყველა მშვიდად სეირნობს. ხედავ იმ ტიპს, მკვლელის იერი რომ აქვს?

მეორე პოლიციელი — მკვლელს არასდროს აქვს მკვლელის იერი. მკვლელი ყოველთვის წყნარად დასეირნობს სხვა დანარჩენებს შორის, როგორც მე და შენ.

პირველი პოლიციელი — გიჟი უნდა იყოს.

მეორე პოლიციელი — ზოგადად, მკვლელი შეშლილია.

პირველი პოლიციელი — არ არის სწორი, არა. ზოგჯერ, მეც კი მაქვს მოკვლის სურვილი.

მეორე პოლიციელი — მაშ, ზოგჯერ ისეც ხდება, რომ თითქმის შეშლილი ხდები.

პირველი პოლიციელი — სრულიად შესაძლებელია, სრულიად.

მეორე პოლიციელი – დარწმუნებული ვარ ამაში.

*შემოდის ზუკო.*

პირველი პოლიციელი – მაგრამ არასდროს, შეშლილიც რომ ვყოფილიყავი, მკვლელიც რომ ვყოფილიყავი, არასდროს არ ვისეირნებდი მშვიდად ჩემ მიერ ჩადენილი დანაშაულის ადგილას.

მეორე პოლიციელი – შეხედე ამ ტიპს.

პირველი პოლიციელი – რომელს?

მეორე პოლიციელი – იმას, მშვიდად რომ დასეირნობს იქ.

პირველი პოლიციელი – აქ ყველა მშვიდად დასეირნობს. პატარა ჩიკაგო საზოგადოებრივ ბაღად იქცა, სადაც ბავშვებსაც კი ბურთით თამაში შეუძლიათ.

მეორე პოლიციელი – აი ის, სამხედრო ტანსაცმელი რომ აცვია.

პირველი პოლიციელი – ხო, ვხედავ.

მეორე პოლიციელი – არავის გაგონებს?

პირველი პოლიციელი – შესაძლოა, სრულიად შესაძლოა.

მეორე პოლიციელი – კაცს ეგონება, რომ ისაა.

პირველი პოლიციელი – შეუძლებელია.

ქარაფშუტა გოგო (*ამჩნევს რა ზუკოს*) – რობერტო. (*ის გარბის მისკენ და კოცნის.*)

მეორე პოლიციელი – ისაა.

პირველი პოლიციელი – დანამდვილებით.

ქარაფშუტა გოგო – გეძებდი რობერტო, გეძებდი, მე შენ გიღალატე, ვიტირე, იმდენი ვიტირე, რომ პატარა კუნძულად ვიქეცი შუაგულ ზღვაში და უკანასკნელი ტალღები მახრჩობენ. ვიტანჯებოდი, იმდენად რომ ჩემი ტანჯვა დედამიწის უფსკრულებს გაავსებს და ვულკანებს გადმოადენს. შენთან მინდა დავრჩე რობერტო; მინდა, შენს ყოველ გულისცემას თვალყური ვადევნო, შენს ყოველ გულიდან ამოსულ ოხვრას; მინდა, შენზე მეჭიროს ყური, შენი სხეულის მოძრაობის ხმა მესმოდეს, ისე ვადევნებ შენ სხეულს თვალყურს, როგორც მექანიკოსი–თავის მანქანას. ყველა შენ საიდუმლოს შევინახავ, შენი

საიდუმლოებების ჩემოდანი ვიქნები, ის ჩანთა ვიქნები, სადაც შენს გულისნადებს მოათავსებ. შენს იარაღებს თვალყურს ვადევნებ, ჟანგს არ მივაკარებ. ჩემი აგენტი და საიდუმლო იქნები, და მე კი, შენი ბარგი-შენს მოგზაურობებში, შენი მზიდველი და შენი სიყვარული.

პირველი პოლიციელი (*უახლოვდება რა ზუკოს*) – ვინ ბრძანდებით?

ზუკო – მე ჩავიდინე მამაჩემის, დედაჩემის, პოლიციის ინსპექტორისა და ბავშვის მკვლელობა. მე მკვლეელი ვარ.

*პოლიციელებს ის აჰყავთ.*

## XV. ზუკო მზეში

*ციხის სახურავების წვერი, შუადღე. მთელი სცენის განმავლობაში არავინ ჩანს, მხოლოდ ზუკო, რომელიც სახურავის წვერზე მიცოცავს. დარაჯებისა და პატიმრების ხმები ერთმანეთში ირევა.*

ხმა — რობერტო ზუკო გაიქცა.

ხმა — კიდეც ერთხელ.

ხმა — კი მაგრამ ვინ შედამხედველობდა?

ხმა — ვის ევალეობდა მისი მეთვალყურეობა?

ხმა — იდიოტებს ვგავართ.

ხმა — იდიოტების შეხედულება გაქვთ, კი. *(სიცილი.)*

ხმა — სიჩუმე.

ხმა — თანამზრახველები ჰყავს.

ხმა — არა, ზუსტადაც რომ თანამზრახველი არ ჰყავს, ყოველთვის ახერხებს გაქცევას.

ხმა — სულ მარტო.

ხმა — სულ მარტო, როგორც გმირები.

ხმა — დერეფნის კუნჭულებში უნდა მოვძებნოთ.

ხმა — სადმე იქნება დამალული.

ხმა — რომელიმე საკუჭნაოში იქნება მოკაკული და ცახცახებს.

ხმა — ყოველშემთხვევაში, თქვენს გამო ნამდვილად არ ცახცახებს.

ხმა — ცახცახისა რა მოაგხსენოთ და სიფათს ნამდვილად გაგვიერთიანებს.

ხმა — ზუკო ყველას სიფათს გაგვიერთიანებს.

ხმა — შორს ვერ წავა.

ხმა — ციხე თანამედროვეა. შეუძლებელია გაიქცე.

ხმა — შეუძლებელია.

ხმა — წარმოუდგენელი.

ხმა — წასულია ზუკოს საქმე.



ხმა — შესაძლოა, მაგრამ ამწუთას ის სახურავის წვერზე მიცოცავს და სიფათებს გაგილამაზებთ.

*ზუკო, მოხრილი, შიშველი ფეხებით, სახურავის წვერზე ადის.*

ხმა — აქ რას აკეთებთ?

ხმა — ახლავე ჩამოდით. *(სიცილი)*

ხმა — ზუკო, თქვენი საქმე წასულია. *(სიცილი)*.

ხმა — ზუკო, ზუკო, გაგვიმხილეთ, როგორ ახერხებ რომ ერთ საათსაც კი არ ატარებ საპყრობილეში?

ხმა — როგორ ახერხებ?

ხმა — საიდან გაიქეცი? გაგვიმხილე, რა გზით.

ზუკო — ზევიდან. კედლების მიღმა არ უნდა ვეძიოთ, რადგან ერთი კედლის იქით, მეორე კედელია, ციხეა ყოველთვის. სახურავიდან უნდა გაიქეცი, მზისკენ. კედელს ვერასდროს აღმართავენ მზესა და დედამიწას შორის.

ხმა — და მცველები?

ზუკო — მცველები არ არსებობენ. ისიც კმარა, რომ არ შევიმჩნიოთ. ყოველშემთხვევაში, იმის ძალა შემწევს რომ მუჭში მოვიქციო ხუთივე მათგანი და ერთი ხელის მოსმით გავჭყლიტო.

ხმა — საიდან მოგდის ეს ძალა, ზუკო, საიდან?

ზუკო — როცა ნაბიჯს ვდგამ, წინ მივისწრაფვი, ვერ ვხედავ დაბრკოლებებს და ვინაიდან ვეღარ აღვიქვამ მათ, თავისითვე განქარწყლდებიან ჩემს წინაშე. მე ვარ მარტოსული და ძლევამოსილი, მე ვარ მარტორქა.

ხმა — კიმაგრამ, მამაშენზე და დედაშენზე რას იტყვი, ზუკო, მშობლები ხომ ხელშეუხებელია.

ზუკო — მშობლების მოკვლა ნორმალურია.

ხმა — კიმაგრამ, ბავშვი ზუკო, ბავშვს ხომ არავინ კლავს. მართალია, მტრებს ვხოცავთ, ვხოცავთ იმ ხალხს ვისაც თვითდაცვისუნარი გააჩნიათ. მაგრამ არა - ბავშვს.

ზუკო — მე არ მყავს მტერი და არც თავს ვესხმი. მე სხვა ცხოველებს ვანადგურებ, არა ბოროტებით, არამედ იმიტომ, რომ არასდროს მინახავს ისინი და იმიტომ, რომ მე მათზე მიდგას ფეხი<sup>5</sup>.

ხმა — ფული გაქვს? შავი დღისთვის გადანახული ფული?

ზუკო — მე არ მაქვს ფული, არსად. მე არ მჭირდება ფული.

ხმა — შენ გმირი ხარ, ზუკო.

ხმა — ის გოლიათია.

ხმა — ის სამსონია.

ხმა — ვინ არის სამსონი.

ხმა — მარსელელი ბანდიტი.

ხმა — ციხეში ვიცნობდი. ნამდვილი პირუტყვი იყო. შეეძლო ერთჯერზე ათი ადამიანისთვის მიენგრია სიფათი.

ხმა — მატყუარა.

ხმა — მხოლოდ თავისი მუშტებით.

ხმა — არა, ვირის ყბით და ის სულაც არ იყო მარსელიდან.

ხმა — ქალმა უტირა ყოფა.

ხმა — დალილამ. თმის ამბავი. მსმენია.

ხმა — ყოველთვის გამოჩნება ვიღაც ქალი, რომ გიღალატოს.

ხმა — რა თავისუფლებაში ვიქნებოდით ქალების გარეშე.

*უჩვეულოდ სხივმგენი, მოკაშკაშე მზე ამოიწვერა. დიდი ქარი ამოქროლდა.*

ზუკო — შეხედეთ მზეს. *(სრული სიჩუმე დამყარდა ეზოში.)* ვერაფერს ხედავთ? ვერ ამჩვენვთ როგორ მოძრაობს აქეთ-იქით.

ხმა — ვერაფერს ვხედავთ.

ხმა — მზე თვალებს გვტკენს. ის გვაბრმავებს.

ზუკო — შეხედეთ, რა აღმოცენდა მზიდან. ეს ხომ მზის სასქესო ორგანოა; სწორედ აქედან იშვა ქარი.

---

<sup>5</sup> ალუზია - „მე თქვენ მოგეცით ძალაუფლება, რომ ქვეწარმავლებზე იართო, ყოველგვარი ძალა მტერზე“ - ლუკას სახარება 10.19.

ხმა – მზის რა? მზეს სასქესო ორგანო აქვს?

ხმა – მოკეტეთ!

ზუკო – თავი გაამოდრავეთ და დაინახავთ რომ ის თქვენთან ერთად მოძრაობს.

ხმა – რა მოძრაობს? პირადად მე, ვერაფერს ვხედავ მოძრავს.

ხმა – როგორ წამოიდგინე, რომ რაღაც შეიძლება მოძრაობდეს იქ, მაღლა?!  
იქ ხომ ყველაფერი უძრავია დასაბამიდან, გაშეშებული და ცას გამოკერებული.

ზუკო – ეს ქარის დასაბამია.

ხმა – ველარაფერს ვეღარ ვხედავთ. ჭარბი სინათლეა.

ზუკო – შეაბრუნეთ თქვენი სახე აღმოსავლეთისკენ და ისიც იქ დაგხვდებათ; და თუ დასავლეთისკენ შეაბრუნებთ - უკან დაგედევნებათ.

*ურაგანი ამოვარდა. ზუკო ტორტმანებს.*

ხმა – შეშლილია. გადავარდება.

ხმა – შეჩერდი ზუკო, კისერს მოიტეხ.

ხმა – გიჟია.

ხმა – გადავარდება.

*მზე ამოიზიდა, ისეთი დამაბრმავებელი როგორც ატომური ბომბის ელვარება. აღარაფერი აღარ ჩანს.*

ხმა (გამაყრუებელი) – ის ეცემა.